საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფ. № 15—73.
სამართი დეპეშებისთვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—30) მან. ცალკე №—10 მ.

წელიწადი მეექვსე· ოთხშაბათი, ოქტომბრის 6. 1920 წ. № 114 ფასი 10 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ-დემოკრატიული
პარტიის მთავარი კომიტეტი
მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.
მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—12 და ნახ., საღამოს 7—9 საათამდე.

ღრმად დამწუხარებულნი: ლუარსაბი, შალვა ფავლენიშვილი და თამარა, შალვა ანდრიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ქალაქ დუშეთში გარდაიცვალა პირველის მეუღლე, მეორის და მესამის დედა, ხოლო უკანასკნელის სიდედრი

სოფიო სოლომონის ასული ფავლენიშვილისა.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზედ. დაკრძალვა მოხდება სოფელ საშაბუროში, ხუთშაბათს 7 ღვინობისთვის.
1—3161—1

თავზარდაცემული მშობლები ვასილი პეტრეს ძე, ბარბარე დიმიტრის ასული, ძმა ნოე და დაი მაშო კუპრაშვილები აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს რომ მიიცვალა პირველთა დაუვიწყარი შვილი მეორეთა საყვარელი ძმა

პეტრე (ჭიჭიკო) ვასილის ძე კუპრაშვილი

გამოსვენება დანიშნულია 7 ოქტომბერს, დილით, ხუთშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, საფიჩხიის ეკლესიის მახლობლად საკუთარ სახლის მოშორებით.
1—3159—1

ღრმად დამწუხარებულნი: დარია, სოლომონის ასული ზანდუკელი შვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ რომ გარდაიცვალა ქალ. დუშეთში პირველის და მეორების დეიდა

სოფიო სოლომონის ასული ფავლენიშვილისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზედ. დაკრძალვა მოხდება სოფელ საშაბუროში ხუთშაბათს 7 ღვინობისთვის. 1—3160—1

ყველას მიერ ცნობილი
რესტორანი
,,ბო-მონდი''
ვარანცოვის ძეგლთან

გაიხსნა 26 სექტემბერს საუკეთესო მოწყობილი კაბინეთები, ევროპიულ აზიური კუხნით, რომელსაც ხელმძღვანელობენ საუკეთესო მზარეულები. რესტორანი ღიაა დილის 9 საათიდან ღამის 12 სათამდე. სადილი 12—5 საათამდი. სადილის დროს უკრავს ცნობილი რუმინიის სიმებიანი ორკესტრი—ქორეაკა ბ. ქაკას ხელმძღვანელობით.

ყოველ დღე საღ. 9 საათიდან საოჯახო
კონცერტი-ბაზარი
საუკეთესო არტისტების მონაწილეობით.

რესტორანში საუკეთესო მოწყობილი ბუფეტი, სადაც მოიპოვება ადგილობრივ და საზღვარ-გარეთული სასმელები და ცნობილი ფირმის ღვინოები.

სადილი ორი თავიდან 150 მ.
სამი ,, 200 მ.
ოთხი ,, 250 მ.

სადილისათვის მზადდება ამორჩევით:

1. შჩი ნიკოლაევის
2. სუპი ,,სანჟერმენი''
3. ქათმის ბულიონი კვერცხით
4. ცოცხალი კარაქით
5. სოკო კვერცხით
6. მარინგო წიწილით
7. ხბოს ხორცი
8. გურიევის ქაშა
9. მოსედიუანი—ატმით.

საჩუქარი და პროცენტები მოხსნილია.
შრომის ჯგუფის ,,ბო მონდის'' დირექცია.
3157.

საჭიროა
მოსამსახურე ქალი.
მოიკითხეთ ,,საქართველოს'' კანტორაში. 4—7—

სახელმწიფო თეატრი
ოპერა
6 ოქტომბერს
პიკის ქალი
მონაწ. რიხი, ერმოლინსკაია, პ. ნინა, მოზოვეცკაია, ოვსანიკოვა, სარაჯიშვილი, საბინინი, დემიანენკო, ეზროვი კურბატოვი, კურხული.
7 ოქტომბერს
სევილიის დალაქი
8 ოქტომბერს
ოპერა მუშებისთვის
დემონი
ოპერის დირექტორი: ს. ი. ევლახიშვილი

განოვის ქუჩა № 3
ხუთშაბათიდან 7 ოქტომბრიდან
განახლდება საჯარო ვაჭრობა შაქრის უკანასკნელი პარტიისა, რომელიც თბილისისათვის ცნობილი იყო თავისი
სიმაგრით და სიტკბოთი
იყიდება მარსელის ქარხნის
შაქარი
მთელის თავობით
და ვირვანქის ქვეშ. განოვის ქუჩა № 3
კანტორა იქნება განოვის ქუჩა № 8 ტელ. № 13—58.
2—3157—2

ბრძანებანი.

ფეხ ქვეშ ნიადაგი გვეცლება, სწორედ ის ნიადაგი, რომელზედაც დგას ყოველი პოლიტიკური შენობა; ეს ნიადაგია ქვეყნის ეკონომიური საქმიანობა. ამ საქმიანობის ნომინალური გამომხატველი: ფული და ფინანსები. ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში ფეხი მოიკიდა სრულმა ანარქიამ, ერთი კუთხე მეორეს არ აძლევს თვის ჭირნახულს, თავის სამეურნეო დარგის ნაყოფს. მრავალი სხვა მიზეზით გადიდებულმა ფასებმა, ამ მიზეზის გამო, კიდევ უფრო აიწიეს და აიწიეს სწორედ იმ საქონელზე, იმ სანოვაგეზე, რომელიც ჩვენშივე მზადდება, რომელსაც ჩვენი ქვეყანა აწარმოებს! ასეთი დამოუკიდებელი „ეკონომიური პოლიტიკა" თვითეული თემის, თუ სამაზრო ერობის გამოწვეულია უმთავრესად იმ გარემოებით, რომ თემსაც და მაზრის ერობას მეტად დიდი გასავალი აქვს, მაგალითისთვის, თუნდაც ის დავასახელოთ რომ თემის თავმჯდომარეს, რომელიც ადგილობრივად მცხოვრები უბრალო სოფლელია, თვეში ზოგან თერთმეტი, ზოგან თორმეტი ათასი მანეთი აქვს! ამ თემებს, ამ სამაზრო ერობებს, ყველას ცხოვრება უნდა, ხოლო არც ერთს და არც მეორეს არ შესწევს არც ცოდნა, არც გამოცდილება შექმნან რაიმე საქმე და მოგებით აწარმოონ იგი, არ აქვთ იმდენი შეგნება ქვეყნის საერთო მდგომარეობის, რომ მოთხოვნილებებს ალვირი ამოსდონ და ეკონომია შეიტანონ ყოველ ხარჯში და გადასახადებში. ყველა წაგლეჯაზეა და აშვებული მოთხოვნილების მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე თემიც და მაზრის ერობაც თავ-თავის ,,უფლებას'' იყენებენ თავიანთი სურვილ-მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად! თემი ჰკრავს თვის საზღვრებს, მაზრის ერობა კიდევ თვისას, ყველაფერს ბაჟს დებენ, ყველაფერს—გადასახადს და სანოვაგის მოძრაობას აფერხებენ; ამგვარად ჰქმნიან ხელოვნურ სიძნელეს და ეს სიძნელე ხდება ზოგჯერ ლეგალურ და ზოგჯერ კიდევ ფარულ, არალეგალურ წყაროდ კოლექტიური თუ პირადი შემოსავლისა!!

სამი წლის არსებობის ფაქტით, ასეთმა ვითარებამ მოქალაქობრივი უფლება მოიპოვა და ეს უფლება შლის ჩვენს სახელმწიფოს. არ იქნა, დღემდე ეს გავლენა ვერ შეიქმნა საყოველთაო გალაშქრების საგნად, არც მთავრობის ავტორიტეტი და არც დამფუძნებელი კრების ავტორიტეტი ახდილად, ენერგიულად ამ საფრთხეს არ შეებრძოლა! ადგილობრივ თვითმართველობათა ქართული ,,დემოკრატიზმი'', თვის ლოგიკურ დასკვნის სახით, პრინციპიალად ამაგრებს კიდევაც ამ სისტემას. ხოლო ,,დემოკრატები'' ისეთი მაგიური სიტყვაა, ისეთი ძლიერი, რომ მის წინაშე მუხლს იდრეკენ მაღალნი ჩვენი ქვეყნისანი... ჩვენ იძულებულნი ვართ მთავრობის და დამფუძნებელი კრების პასიობა მთელი ორი—სამი წლის განმავლობაში ავხსნათ, როგორც მუხლის მოდრეკა, სოფლის პროპაგანდისტთა ამ ქვეყნის დამქცევი ,,დემოკრატიზმის'' წინაშე. მაგრამ ორში ერთია, ან ასეთი ,,დემოკრატიზმი'' უნდა დარჩეს და მაშინ ხელი ავიღოთ საქართველოს სახელმწიფოს განმტკიცებაზე, ან საქართველოს სახელმწიფოებრივი აპარატი უნდა განვაორკეცოთ და ძირიან—ფესვიანად ამოვსთხაროთ რეგვენთა ,,დემოკრატიზმი''!!

სხვა გამოსავალი აღარ არის ამას ვერ ხედავენ, ან კიდევ არ უნდათ დაინახონ მათ, ვინც სოფლის პროპაგანდისტებზე დამკვიდრებულნი არიან...

დაიწაბა და მოუთმენლობის სასოწარკვეთილი ,,შესდეგ''! აღმოხდა მთავრობის თავმჯდომარეს. იგი ჰხედავს, რომ ამ ,,დემოკრატიზმს'' მოაქვს ქვეყნის დაშლა და განადგურება და თუ დროზედ არ უშველა, მერე გვიან-ღა იქნება თ თემზე კვენანი. ჩვენ არ შეგვიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნოთ მთავრობის თავმჯდომარის ეს გაფრთხილების განგაში!! მთავრობის თავმჯდომარის უკანასკნელი ბრძანებები ამ მხრივ ბევრი რამის მაჩვენებელია, მისი ბრძანება ერობების და ქალაქების თვითმართველობების მიმართ: შეამცირონ თავიანთი შტატები, შეამოკლონ ხარჯები, და ამის აღსრულებაში მოსაყვანად ვადის დადება, ხოლო, თუ ამ ვადაში არ აღასრულებენ, დამუქრება რომ თვითონვე ჩაერევა საქმეში;

მისი ცირკულიარული დეპეშა ერობათა და ქალაქთა გამგეობებს და აფხაზეთის კომისარიატს, დაიცვან კანონი და ხელი აიღონ თავ-თავიანთ მოქმედების ფარგლიდგან სურსათ სანოვაგის გატანის აკრძალვაზე, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი ზომების მიღებითა და პასუხისგებაში მიცემით დამუქრება;

მისი უკანასკნელი ბრძანება პურის გარშემო ატეხილი გამოძიების გამო, დაპატიმრება და ციხეში ჩასმა ბოროტმოქმედების ჩამდენთა—ყოველივე ეს მოწმობს, რომ ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარეს საჭიროდ დაუნახავს მაგარი ხელი გამოაჩინოს და ხელში ჯოხი აიღოს. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ დღემდე წარმოებული პოლიტიკა-სადავეების მიშვება და პროვინციის თვითმართველ ერთეულის ხელში სახელმწიფოს კომპეტენციისა და ხელმწიფობის ჩატოვება—რომ ეს პოლიტიკა საქართველოს დაშლის პოლიტიკა...

მთავრობის თავმჯდომარის უკანასკნელი ბრძანებები ახალი კურსის მაჩვენებელია. საჭიროა ბრძანება მართლაც აღსრულდეს, საჭიროა სიტყვა საქმედ იქცეს. თორემ თუ ბრძანება—ბრძანებად დარჩა და რეალური შედეგი არ მოილო, თუ იგი ცხოვრებაში არ გატარდა, მორჩა? უკანასკნელი სწორი ღონისძიება ქვეყნის დასახსნელად სამუდამოთ გაწბილებული და ავტორიტ დაკარგული იქნება! მაშინ გაიმარჯვებს ადგილობრივი ,,დემოკრატიზმი'', თემი თემში ჩაიკეტა და ხელმწიფებს, მაზრა-მაზრაში, საქართველო კი მოკვდება თავის სიკვდილით. ამგვარად მოკლებული ორგანიულ მთლიანობას როგორც ეკონომიურ, ისე ადმინისტრატიულ და კანონმდებლობით სფეროში... ამ მხრის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებებს კიდევ აკლია კანონიერების და უფლებრიობის შეგნების მკაცრი კატეგორიულობა ,,უკანასკნელად გაფრთხილებთ ქალაქებს, ერობებს და აფხაზეთის კომისარიატს რომ თუ კიდევ ასეთი მოვლენა განმეორდა'' და სხვა...

ეს უკანასკნელად ,,გაფრთხილებთ'' მამის ოჯახური სენტენცია უფროა, ვიდრე კანონის დამცველის ბრძანება. კანონი ან დარღვეულია და დამნაშავე უნდა დაისაჯოს, ან კანონი დარღვეული არ არის და მაშინ დასასჯელი ობიექტიც აღარ არის.

ჩვენ ვიცით რომ თემები და მაზრები ამ ბრძანებებმა ყალყზე შეაყენა, არა იმ მხრივ რომ მთავრობის ბრძანებებში ,,მომქმედი კონსტიტუცია'' შეილახა, არამედ იმისთვის რომ ამ ბრძანებების აღსრულებაში მოყვანა ძირშივე აღკვეთის ადგილობრივი თვითმართველ ერთეულების ბოროტ ნებას და შემოსავლის წყაროს დაუშრობს მათ, მაგრამ, ყველა, ვინც გონს არის მოსული, მხარს დაუჭერს მთავრობის თავმჯდომარეს; ყველაზედ უწინ მას უნდა მიეშველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც შესაფერი კანონის მიღებით თავის კალაპოტში ჩააყენებს ,,კონსტიტუციის'' ,,დარღვევით'' აღშფოთებულ პირებს:

დაუსრულებელი მეჯლისობა.

ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა ვერ იქნა და ვერ მოიშალეს უადგილო და უკანონო მოხმარება სახელმწიფო აპარატისა. განუკითხავად მომქმედნი, ისინი ანგარიშს აღარავ-ს უწევენ და თავის კაპრიზისამებრ ატრიალებენ მომარჯვებულად დაჭერილ მმართველობის ჩარხს.

თბილისის მცხოვრებნი ისე შეეჩვივნენ რესპუბლიკის ორგანოების ქუჩებში გამომზეურობის ხილვას, რომ არც კი იციან და ხშირად არც აინტერესებთ საბაბი ამ ამბებისა.

ყველაფერს უნდა ჰქონდეს ზომიერება და მით უმეტეს სახელმწიფოს სფეროში, რომ გადაჭარბებული ხმაურობა და ალიაქოთი მეტიჩრობაში და უნახაობაში არ ჩამოგვართვან.

მართლაც ბოლოს და ბოლოს უნდა დაიდოს საზღვარი კერძო და სახელმწიფო მოვლენათა შორის და სასტიკად აღიკრძალოს ფუნქციათა აღრევა, რასაც საქართველოში პირდაპირ ეპიდემიური ხასიათი მიეცა...

სოციალ-დემოკრატებს ,,ნეგლიჟობა'' უყვართ: შინ და გარეთ ერთნაირად ჰგრძნობენ თავს და ვერ შეუტყვიათ აქამდის, რომ თავის საკუჭნაოსა და სამსახურის კაბინეთის შუა განსხვავება ცოტა მაინც არსებობს.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს მეგობრები საკმაო მოეპოებათ რუსეთსა და ევროპაშიც. მათგან ზოგს დიდი სურვილი აღძრათ ბოლოს დროს ჩვენი სამშობლოს ხილვისა და მიუხედავად უგზოობისა და სხვა ხელისშემშლელ პირობებისა მაინც ახერხებენ მოსვლას აქ. ამაში ჩვენ ცუდს არაფერს ვხედავთ: პირიქით სასურველიც არის ეგზოტიურ ადამიანების გაცნობა... მაგრამ ქართველ სოციალ-დემოკრატებს დღესაც არ ესმით, რომ ზოგი სტუმარი სახელმწიფოს ეახლება, ზოგი—პარტიას, ზოგიც ამა თუ იმ პიროვნებას...

აი ეხლახან გავაცილეთ ევროპის სოციალისტები... ვინ იყვნენ ისინი, ვისგან მოგზავნილნი და ვისთან? მეორე ინტერნაციონალის წევრები ესტუმრნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას—არც მეტი არც ნაკლები!

მასპინძლად უნდა გამოსულიყო მენშევიკების ცენტრალი კომიტეტი და არავითარ შემთხვევაში არც მთავრობა, არც დამფუძნებელი კრება, არც ჯარის ნაწილები და სახელმწიფოს სხვა ორგანოები.

ჩვენ კი დედაქალაქის ქუჩებში ნამდვილი გამოფენა გავმართეთ ჩვენი სახელმწიფოს ავლადიდებისა, თითქოს ვშიშობდით, რომ ევროპიელთ ეჭვი არ შეეტანათ რესპუბლიკის ამა თუ იმ დარგის სისუსტეში, ან უვარგისობაში. ასეთი ყოყოჩური გამოსვლები უსათუოდ კომიკურ შთაბეჭდილებას სტოვებენ და რესპუბლიკისთვის ხომ უსარგებლონი არიან, მატერიული ზარალიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში.

აიღეთ თუგინდ კარლ კაუცკის ჩამოსვლა: ჭეშმარიტად დიდი პიროვნებაა! უაღრესად განათლებული, პირველხარისხოვანი მწერალი, მარქს-ენგელსის კანონიერი მემკვიდრე სოციალ დემოკრატიულ პარტიაში, გერმანიის დემოკრატიის აზრთა მპყრობელი... მიუხედავად ყველა ამ ღირსებისა, რა საჭირო იყო წარსულ კვირას ქუჩებში ამტყდარი აურზაური და ცერემონიები! მუშური ორგანიზაციებისა და პროფესიული კავშირების მანიფესტაცია გასაგებიც იყო და, თუ გნებავთ, საჭიროც...

სახელმწიფოს დაწესებულებების ქუჩებში გამორეკა ვიღას დასჭირდა? რა აზრი ჰქონდა მცირეწლოვან ბავშვების ,,ფორსიროვკას'', რათ იდგნენ საათობით ქუჩებში პაწაწინა არსებანი? ვინ გასცდა ეს ,,ბრძნული'' განკარგულება? უპურობის დროს ფერმიხდილ ბავშვების ,,მარშიროვკა'' თუნდაც ორკესტრით რა წესია?! აკი ამიტომაც პანტებივით ცვივოდნენ ქუჩებში გულშეწუხებული პატარა შეგირდები...

თავი დავანებოთ მეჯლისობას. სხვა საჭიროებანი ჯერ კიდევ ბევრია დასაკმაყოფილებელი; ამაში ,,ერთობი''-ს ,,შინაური მიმოხილვის'' ყოვლის მცოდნე ავტორიც დაგვეთანხმება.

ყველაფერს თავის ადგილი და დრო უნდა ჰქონდეს!

დღე.

ბოლშევიკური ცნობით, წითელ არმიელები ნეიმანის მიმართულებით უწესრიგოდ უკან იხევენ.

ჩიჩერინმა პროტესტით მიმართა საფრანგეთის მთავრობას რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის გამო.

ავსტრიის ეროვნულმა ყრილობამ დაადგინა მოხდეს ავსტრიაში პლებისციტი გერმანიასთან შეერთების შესახებ.

საბჭოთა მთავრობამ ყირგიზეთს ავტონომია მიანიჭა.

ლიონის ცნობით პოლონელებმა აიღეს ქალაქი ნოვოგოროდსკი, გაანადგურეს წითელ არმიელთა მე 16 დივიზია, და ხელთ იგდეს 42,000 ტყვე, 169 ზარბაზანი და 990 მიტრალიეზი.

ყირიმის ცნობით ვრანგელის ლაშქარმა დაამარცხა წითელ არმიელთა მე-2 და მე 17 დივიზია.

წერილები.

მეთაური: ბრძანებელი.
დაუსრულებელი მეჯლისი.
,,ნაციონალისტის'' პოლიტიკური ,,ვიმოგატელი''.
გ. გვაზავა. ერნესტ ნისი.
ფელეტონი: სპ. ქედიას სიტყვა დამფუძნებელ კრებაში.
ნ. აზიანის: თვითმკვლელის წერილი.
ჩვენი კორესპონდენტები: ს. სიქტაური.

† ერნესტ ნისი.

ევროპიდან მოვიდა მეტად სამწუხარო ამბავი: გარდაცვლილა ერნესტ ნისი.

ერნესტ ნისი უდიდესი პიროვნება იყო ახლანდელ ბელგიაში. ის იყო პროფესორი ბრიუსელის უნივერსიტეტში, წევრი ბელგიის აკადემიისა, მუდმივი წევრი ჰააგის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოსი. მისი ცოდნა და ავტორიტეტი საერთაშორისო უფლებაში იყო ცნობილი და განთქმული მთელს დიდ ამის ზურგზე. მის აურაცხელ ნაწარმოებში განსაკუთრებით სახელგანთქმულია ,,საერთაშორისო უფლება, პრინციპები, თეორიები და ფაქტები''.

ერ. ნისი იყო დიდი მეგობარი და დამცველი საქართველოსი. როცა ჩვენ 1907 წელს შევიტანეთ საქართველოს პეტიცია ჰააგის კონფერენციაში, პირველად მივმართე ერნესტ ნისს მან გაუკეთა უკანასკნელი რედაქცია ამ პეტიციას. ერნესტ ნისი პირდაპირ იწვოდა საქართველოს ბედით და ვერ ითმენდა იმ უსამართლობას, რომელიც ჩაიდინა რუსეთმა საქართველოს შემოერთებით და მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის დამხობით. ამ საკითხზე მან გამოაქვეყნა მეტად საინტერესო წერილები. მოვიყვან ერთ წერილს. 1906 წელს ლოზანის ფედერალური სასამართლო შეეკითხა ერნესტ ნისს, როგორც მცოდნე პირს და ავტორიტეტს: შეიძლება თუ არა დაჭერილ ყმაწვილების (ქართველები იყვნენ) გაცემა საერთაშორისო უფლების პრინციპების მიხედვითო? აი რა უპასუხა ერნესტ ნისმა:

,,ქართველების აჯანყება არის კანონიერი. ახლანდელი მდგომარეობა მათი ქვეყნისა არის რევოლუციონური. აქტი ძალადობისა, ჩადენილი ქართველთა ძის წრეების განსახორციელებლად, არის აქტი პოლიტიკური, რომელიც, სისხლის სამართლის კანონების მიხედვით, შეადგენს პოლიტიკურ დანაშაულობას რუსეთის მთავრობის ბატონობა საქართველოში არის უსამართლო თავის საფუძველში და ისტორიულ დასაწყისში. იგი დამყარებულია მოტყუებაზე. მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში იგი მოქმედებდა უწყალოდ და ტირანიულად. შემდეგ მოყვანილია 1783 წლის ხელშეკრულება და ისტორია ამ ხელშეკრულების დარღვევის და საქართველოს შემოერთებისა. წერილი თავდება ამ შესანიშნავი დასკვნით:

,,აი რა საბუთებზეა დამყარებული რუსეთის მთავრობის პრეტენზია ქართველების ერთგულობაზე! სიცრუე, მოტყუება, ღალატი, აი ეს საბუთები. მართალია, რუსების ბატონობა ჰგრძელდება უკვე ერთი საუკუნეა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ეს იყო საშინელი წამება და დევნა ყველაფერის, რასაც კი წარმოდგენს ერი თავის არსებობით და ღირებულობით. რუსეთის რეჟიმი იყო შეუბრალებელი მტერი ქართველების ენის და კულტურის. მან გაანადგურა მათი სკოლები და სწავლა-განათლება; მან ჩაიგდო ხელში ახალგაზრდობა და უსამართლო ზომებით ჰგზავნიდა იმპერიის გადაკარგულ კუთხეებში ყველას, ვინც ჯარში იყო გაწვეული ძალით, სამხედრო სამსახურის მოსახდელად; მან ასტეხა ყოველგვარი ვაივაგლახი; იგი ასჯიდა სიკვდილით ან ციხეში დამწყვდევით ქართველ პატრიოტებს; იგი შეუბრალებლად არბევდა ქვეყანას თავის სალდათებით.. მაშ ვინ გაჰბედავს სთქვას რომ აჯანყება და რევოლუცია აქ არ არის მოვალეობა?!"

ვინაიდგან თქვენ მეკითხებით გაცემაზე ნება მომეცით ხაზი გაუსვა იმ პრინციპებს, რომლებიც შეადგენენ მხოლოდ სასამართლოებრივი დახმარების აქტს და უმორჩილესად გთხოვთ წაიკითხოთ ამ საგანზედ 255 და შემდეგი გვერდები ჩემი წიგნისა, რომელსაც ამასთანავე გიგზავნით. თქვენ იქიდან დაინახავთ, თუ რა არის ნაძლევი პრინციპი აღძრულ საკითხში; დაინახავთ აგრეთვე, თუ როგორ ჰცდილობს რუსეთის მთავრობა გადაასხვაფეროს იურიდიული შემეცნება და გაატაროს დასავლეთ ევროპაში თავისი ბარბაროსოლა შემეცნებანი."

ამ მცირე ამონაწერიდანაც სჩანს, თუ რაგვარი გულის და გონების ადამიანი იყო ერნესტ ნისი. იგი იდგა უფლების და სამართლის დარაჯად საერთაშორისო გაწყობილებაში და ამ მაღალ იდეის სამსახურში გაატარა მთელი თავისი სიცოცხლე.

მისი პირადი და ახლო მეგობრები იყვნენ პეტრე კრაპოტკინი, ელიზე რეკლიუ, ვარლამ ჩერქეზიშვილი... ამ უკანასკნელს ერთი თვე არ არის, მე თვითონ ჩამოვუტანე მისი მეგობრული წერილი; იგი ბედნიერი იყო საქართველოს განთავისუფლებით.

და არა ერთი ქართველი გული, მე დარწმუნებული ვარ, წრფელის მწუხარებით შეხვდება ამ კეთილშობილ მეცნიერის გადაცვალების ამბავს.

იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ ჩვენი მთავრობა ქართველი ერის სახელით გადასცემს სამძიმარს ბელგიის მთავრობას: ერთი მცირე რადიო... ნუთუ ქართველ ერისაგან ეს მაინც არ ერგება ერნესტ ნისის ხსოვნას??

გიორგი გვაზავა.

უცხოეთში

ენვერ ფაშა, ბოლშევიკები და ბრიტანეთის ინდოეთი.

მოსკოვიდან მიღებულ გერმანულ რადიოს ცნობით ენვერ ფაშა ლენინისა და ტროცკის შუამდგომლობით დაინიშნა ბოლშევიკურ იმ ძალების მთავარსარდლად რომელიც ილაშქრებს ინდოეთისკენ. ბოლშევიკების მთელი ძალები ამიერ კავკასიის სპარსეთის ავღანისტანისა და თურქესტანისა ენვერ ფაშის სარდლობას დაექვემდებარა. პოლიტიკური წრეები, ამტკიცებენ, რომ ეს მანევრი განსაკუთრებით ინგლისის წინააღმდეგ არის მიმართული, რომელსაც მიზნადა აქვს აიძულოს იგი დააჩქაროს ზავი რუსეთთან.

პოლონეთის სოციალისტები და ზავის პირობები.

პოლონეთის სოციალისტების პარტიის და სოციალისტ დეპუტატების წევრების კონგრესმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია ზავის პირობების შესახებ:

1. პოლონეთისა და რუსეთის ერთმანეთ შუა მეგობრულ განწყობილების დამყარება.

2. პოლონეთის მუდმივი საზღვარი უნდა დაიდვას თანახმად ეთნოგრაფიულ პრინციპისა და ცხოვრების ინტერესისა და მეომარ სახელმწიფოთა შორის.

3. რაც შეეხება იმ ერებს, რომლებიც პოლონეთსა და რუსეთს შუა ტერიტორიაზე მოსახლეობენ, პოლონეთმა უნდა მისცეს მათ უფლება თვითეულ ერმა თვით გამოარკვიონ დამოკიდებულება თავის ბედისადმი ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი უნდა გადაწყდეს შეიარაღებულ ძალით კი არა, რუსეთსა და პოლონეთ შუა არამედ დაინტერესებულ ერთა მიერ უნდა იქნეს გადაჭრილი.

4. პოლონეთის სოციალისტების აზრით სამშვიდობო ხელშეკრულება დადებული რუსეთსა და ლიტვის შუა მარიამობისთვის 12-ს იმპერიალისტურია და მიუღებელი. ბედი ვილნო გროდნოსი პოლონეთს და ლიტვის შინაურ საკითხად უნდა ჩაითვალოს და შეეხება მხოლოდ ამ ორ ქვეყნებს და შვიდობიან გზით უნდა გადაწყდეს პოლონეთსა და ლიტვის მორიგებით თანახმად ადგილობრივ მცხოვრებთა ნების ყოფისა.

მთელი პრესა ერთხმად აღიარებს რომ ეს რეზოლუცია სრულიად შეეფერება მთელი პოლონეთის ერის შეხედულებას და ლტოლვილებას.

„ტანის“ კორესპონდენტი ბერლინის მდგომარეობაზე.

ბერლინი სავსეა ბოლშევიკებით. მათ ნაირ ნაირი სახით ჰხვდებით, ლამაზად გამოწყობილნი ელეგანტურად მორთულ ქალებთან ერთად დაიარებიან. მათ ნახავთ ყავახანებში, სხვადასხვა გასართობ ადგილებში. მაგრამ ნახავთ აგრეთვე თავმდაბალთაც, რომელთაც არ უყვართ თავის გამოჩენა. ესენი უფრო მუშათა შორის დაიარებიან, მათ ბინებში სცხოვრობენ. გადიან ბრბოში და იქ ან ავრცელებდენ, ან თვითონვე იგებენ უკანასკნელ ამბებს. აქ ნელინელ გალაპარაკებით ისინი ამცნობენ მსმენელს, ვითომც მსოფლიო რევოლუციის ალი ქვეყნიერებას მოედო, რომ არაა ეხლა ისეთი ძალა, რასაც შეეძლოს მის ჩაქრობა. ბოლშევიკებმა ჩინებულად მოახერხეს რუს პატრიოტთა გრძნობების ექსპლოატაცია მოეხდინათ. თვით გამოქცეულთაც კი, რომელთა ქონება და ავლა დიდება სამშობლოში სწორედ ბოლშევიკებმა დაუნგრიეს და გაუოხრეს, ისინიც ექადლებიან მათ და იმისს მოლოდინში არიან, რომ ბოლშევიკებმა რაც შეიძლება მალე გადალახონ პოლონეთის საზღვრებიო. საბედნიეროდ, ყოველთვის ეს ასე არ არის. ვრანგელის ცნობამ საფრანგეთის მიერ დიდი სიხარული გამოიწვია. მოსკოვის მთავრობა, რომელმაც მოსპო კოლჩაკი, გაანადგურა დენიკინი და იუდენიჩი, ველარ ისვენებს, რომ განადგურებულთა ადგილას ახალ-ახალი გმირები ჩნდებიან. მათ სურდათ ჩაექლათ ყოველგვარი ანტი-ბოლშევიკური მისწრაფება, ოღონდ ისე კი, რომ სურვილიც კი აღარავის ჰქონოდა რაიმე ბრძოლაზე ეფიქრნა მათს წინააღმდეგ მაგრამ ამაოდ! საღს ელემენტებს რუსეთისას აგრე ადვილად ვერ შეაშინებენ, ვერც მოატყუებენ იმ ამბებით, ვითომც რკინის გზები აღდგენილია, ვითომც შიდა რუსეთში ცხოვრება ნორმალურია. ყველამ იცის, რომ საბჭოთა რუსეთში ყოველისფერის კრიზისია, იციან ისიც, რომ თვით ჯარებიც ნამდვილ რუსებისაგან აღარაა შემდგარი, იციან რომ საბჭოთა ლაშქარი თათარ და ურდოებათ გარდაიქცა, რომ ჯარი კალიასავით სპობს ყოველისფერს, რაც კი რამ წინ ჰხვდება, იციან ისიც, რომ წითელი ლაშქარი დნება, ცხენოსანი ჯარი ილევა, ასე რომ შიში ევროპის დაპყრობისა ეხლა არც არავისა სჯერა და ვერც დაიჯერებენ. ამაოდ სცდილობენ ბოლშევიკები რამეს გახდნენ თავიანთი პროპაგანდით, ამაოდ ჰგზავნიან ვაგონს ვაგონზე დატვირთული ლიტერატურით ინდოეთის და ოსმალეთის ასაჯანყებლად ამ საპროპაგანდო ლიტერატურის შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ბერლინში მყოფ ბოლშევიკებს, რომელთაც რამდენიმე კინემატოგრაფი აქვთ, სადაც აჩვენებენ ბოლშევიკურ ცხოვრების ნიმუშებს და აქებ ადიდებენ თავიანთ მოქმედებას. აღიზიანებენ ხალხს ინგლისის წინააღმდეგ, იგი გამოყვანილი ჰყავთ უზარმაზარ მაჯლაჯუნად, რომელიც მთელს ქვეყნიერებას გასრესას უქადის. თეატრებშიც გამუდმებით იდგმება რევოლუციური დრამები, შილლერის ,,ყაჩაღები'', ჰაუპტმანის ,,ფეიქრები'', მაქსიმე გორკის პიესები და სხ. მაგრამ ყველა ამან საკმაოდ ხალხს მოაძულა ყურთა სმენა და მათი უკვე აღარა სჯერათ რა... ბოლშევიკებმა დრო წააგეს, ეხლა იწყება მათი თავქვეზე დაქანება...

უკრაინა და ვრანგელი.

გაზ. „ტან“-ში მოთავსებულია შემდეგი ცნობა: „აჯანყება მთელ უკრაინას მოედო. მათ ხელშია ეკატერინოსლავი და ნიკოლაევი.

ოდესისაკენ წითელ-არმიელებისათვის ყველა გზები გადაჭრილია. პეტლიურა თანახმაა შეუერთდეს ვრანგელს შემდეგი პირობებით: 1) უკრაინის დამოუკიდებლობის აღიარება; 2) ერთი უკრაინული ჯარის ორგანიზაცია იმ ნაწილების შემოერთებით რომელნიც ვრანგელს მიუმხრნენ. 3) უკრაინული სამართველოების მოწყობა იმ ადგილებში, საიდანაც ბოლშევიკები გავიდნენ. სტამბოლიდან უწყებიან, რომ ყუმბანში დიდი ანტი-ბოლშევიკური მოძრაობაა: გენ. ხვოსტოვმა შეადგინა მრავალრიცხოვანი ჯარი ბოლშევიკების წინააღმდეგ".

დეპეშები.

ფრანგული ცნობები.

გერმანიის ელჩი საფრანგეთში.

გერმანიის ელჩი მაიერი შაბათს დილით ოფიციალურად სადარბაზოდ მივიდა საგარეო საქმეთა მინისტრ ლეიგთან. საუბარი გაგრძელდა სამი მეოთხ. საათს მას მეგობრული ხასიათი ქონდა.

რუსეთის ხორბალი.

მოსკოვი. საშინელი ცრუ ხმები გაავრცელეს იტალიაში. ბოროტი მიზნით ოდესიდან ნიაპოლში გაგზავნილ რუსეთის ხორბლის შესახებ ამბობდენ, რომ ხორბალი ძლიერ ცუდი ხარისხის არის. ჩვენ შეგვიძლია უარყოთ ეს ხმები, რადგან ბ-ნმა მოლამ, რომელიც მართავს (დამახინჯებულია) ოფიციალურად დაამოწმა აგვისტოს 17, რომ დატვირთული ხორბლის მხოლოდ 0,19 პროც. რუხია, დანარჩენი ხორბალი კი ძლიერ კარგი იყოვო.

ჩეხო-სლოვაკია და საფრანგეთი.

ჩეხო სლოვაკიის სავაჭრო მისია სავაჭრო მინისტრის მეთაურობით პარიზში მოვიდა, მისია დაესწრება ლიონის ბაზრობას და მას სავაჭრო ხელშეკრულებების შესახებ მოლაპარაკების გამართვა სურს.

შრომის მინისტრს ჟურდენს, განთავისუფლებულ მიწების მინისტრს თიო, ვაჭრობის-იზააკს და ჰიგიენის ბრიტანს კვირას დილის 9 საათზე ლიონის ქალაქის თვითმართველობაში შეეგებენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ლიონის ბაზრობის კომიტეტის წევრები, ქალაქის თავმა გერიომ მინისტრებს გააცნო უცხოელი დელეგატები, რომლებიც ლიონის ბაზრობაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ. ჩამოსული არის ჩეხო-სლოვაკიის, ბრაზილიის, საბერძნეთის, რუმინეთის შეერთებული შტატებისა და პოლონეთის დელეგაცია.

ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის დეკლარაცია.

ჩეხო სლოვაკიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჩერნიმ პარლამენტის მუდმივ კომისიაში მთავრობის პროგრამაზე დეკლარაცია წაიკითხა, სადაც აღნიშნა, რომ ახალი კაბინეტი თავის წინა მარშლების საქმეს განაგრძობს, გააძლიერებს სახელმწიფოებრივ უფლებას, დააწესებს მომავალი ბიუჯეტის სწორწონობას, საბოლოოთ დასდებს სავაჭრო ხელშეკრულებას საფრანგეთთან იტალიასთან, და რუმინეთთან. დისციპლინას დაამყარებს ჯარში, რომელიც პოლიტიკურ პარტიათა გარეშე იდგებაო. დეკლარაცია მოიწონა 16 მა წინააღმდეგ გერმანულ 7 ხმისა.

ბრიუსელის კონფერენცია.

ბრიუსელის კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგატმა ავენოლმა განცხადება გააკეთა, სადაც აღნიშნა საერთაშორისო ორგანიზმის აუცილებლობა, რომელიც ხალხთა ფინანსიურ სოლიდარობას ცხოვრებაში გაატარებს.

გერმანული ცნობები.

გერმანული პრესა აღფრთოვანებული ეგებება ლორდ კერზონის განცხადებას, რომ მომავალში საერთაშორისო ხელშეკრულებებს ის გახსნილველად წარმოდგენს ერთა ლიგაში. იმედს გამოსთქვამს რომ ამ მაგალითს სხვა სახელმწიფოებიც მიბაძავენ.

რუსეთის ცნობები.

სამხედრო მიმოხილვა

ნოვოგრუდსკის რაიონში ნემანის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობენ უკან დახევას. ნესვიჟის ჩრდილოეთით სწარმოებს ბრძოლა მოპირდაპირე ნაწილებთან. ლუნინეცის სადგურის რაიონში მკაცრი ბრძოლებია. ჩვენი ნაწილები განაგრძობენ შეტევას ნოვგორ-ვოლისკზე. ბრძოლა ლიდიჩევის დასავლეთით მის ჩრდილოეთით გრძელდება. ეკატერინოსლავის რაიონში ჩვენი ჯარები მოპირდაპირეს ეკატერინოსლავ-სინელნიკოვის რკინის ხაზზე ებრძვის. იუზოვის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მიაყენა რა დიდი ზარალი მოპირდაპირეს, დაიკავა სადგური დოლიას ჩრდილოეთ დასავლეთის ხაზი.

სამეურნეო კურსები

პეტროგრადის გუბერნიის თითქმის ყოველ მაზრაში იხსნება სამთვიანი სასოფლო-სამეურნეო კურსები. კურსებზე აგრონომებს მოამზადებენ. კურსდამთავრებულთ მიაწოდებენ პასუხისმგებ თანამდებობას, რომელიც ამდენხანს ისეთ პირებს ეკავათ, რომლებსაც მხოლოდ ზარალი მოქონდათ მშრომელ ხალხისათვის, კურსებზე 50 კაცს მიიღებენ პირველ რიგში კურსებზე მიიღებენ საბჭოთა კავშირების მუშებს, კომუნისტურ არტელის მუშებს და შემდეგ ყველას ვინც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობს. პეტროგრადში მეცნიერი აგრონომები და სასოფლო სამეურნეო მრეწველობის ცალკე დარგების სპეციალისტების სასოფლო-სამეურნეო გამოფენას აწყობენ. ამ გამოფენის მიზანს შეადგენს გააცნოს ჩვენ სოფელს და სხვა და სხვა გაუმჯობესებანი სასოფლო-სამეურნეო მეურნეობაში და მით აამაღლოს რუსეთის გლეხების კეთილდღეობა.

ლიონის ცნობები.

რუსეთ-პოლონეთის ომი.

ვარშავიდან მოსული ცნობით პოლონეთისა და ლიტვას შორის დროებითი ზავი დაიდვა. ოქტომბრის 2 პოლონეთიდან მიღებულ ცნობით მათ აუღიათ ქალაქი ნოვოგროდეკი. ბოლშევიკები, რომლებიც წარსულ კვირას ბელოსტოკთან ლიპოვიცკთან და ზამოსტიეში (?) იყვნენ, 100—150 კილომეტრით უკუვაქციეთ. საბჭოთა ჯარების მე 16 დივიზია თუ სავსებით არა, ნაწილობრივ მაინც გავანადგურეთ. უკანასკნელ ხანების ბრძოლებში პოლონელებმა ტყვეთ წამოიყვანეს 42 ათასი კაცი, ხელთ იგდეს 169 ზარბაზანი, 990 მიტრალიეზი, და დიდძალი სამხედრო მასალა.

რუსეთი და ფინლიანდია.

საფრანგეთის პრესაში დაბეჭდილია გელსინგფორსიდან მიღებული ცნობები, რომლიდანაც სჩანს, რომ ბოლშევიკების პოლონელებთან დამარცხების შემდეგ ფინლიანდიის საზოგადოებრივი აზრი რუსეთისადმი შეიცვალა და მასთან შეთანხმების წინააღმდეგია.

რუსეთი და ჩინეთი.

საფრანგეთის პრესა იუწყება, რომ იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1901 წ. ოქმს, გადასწყვიტეს მიიღონ თავის თავზე რუსთა უძრავ ქონების დაცვა ჩინეთში.

სპარსეთში.

თეირანიდან მოსული დეპეშის თანახმად სპარსელებმა რეშტი აიღეს.

ადრიატიკის საკითხი.

სერბიის მინისტრმა აცნობა იტალიის მთავრობას, რომ სერბეთი თანახმაა ადრიატიკის საკითხის შესახებ იტალიასთან მოლაპარაკების დაწყებისა. ეს მოლაპარაკება დაიწყება ოქტომბრის 8.

ბრიუსელის კონფერენცია.

პერიეს წარმომადგენელმა კორნომ ბრიუსელის კონფერენციაზე სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა: ერთა ლიგის სამართლიანი მოპყრობა ყველა ხალხის მიმართ საუკეთესო საშუალება ექნება არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიურ საკითხების გადაწყვეტისაო. კრება ამ სიტყვას ერთსულოვანი ტაშისცემით მიესალმა.

ბრიუსელის კონფერენციაზე საფრანგეთს ეხლა დიდი ადგილი უკავია, კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგატები დიდის თანაგრძნობით სარგებლობდენ. კომისიებში პირველად მათ აზრს ისმენდენ და საკითხებსაც უმეტეს შემთხვევაში საფრანგეთის დელეგატების განცხადების მიხედვით სწყვეტენ. ეკონომიურ და ფინანსიურ ფორმაში საკითხების მომხსენებლები აღნიშნავენ, რომ ევროპის ეკონომიური აღდგენა უნდა მოხდეს ვერსალის ხელშეკრულების მიხედვითო. ყველასაგან აღიარებულ იქმნა, რომ საფრანგეთს უფლება აქვს ისარგებლოს თავისი მორალური და ნივთიერი ძალებით. ამან გერმანელებს თვალები აუხვია. იმათ უნდა გაიგონ, რომ სანამ ისინი თავის თავზე მიღებულ ვალდებულებას არ შეასრულებენ, მანამ ვერაფერს მიიღებენ.

საერთაშორისო საფინანსო კონფერენცია ბრიუსელში.

ორშაბათს სხდომაზე ბარანდმა აღნიშნა, რომ საჭიროა მივაწოდოთ კაპიტალი სამრეწველო დაწესებულებებს და შევამოკლოთ სახელმწიფოთ ხარჯებიო. შემდეგ ბელგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კაპიტალზე დადებული გადასახადის შესახებ ილაპარაკა. ინგლისის დელეგატმა ლორდ ჩალმერსმა განაცხადა: საჭიროა მეტი მუშაობა და ხარჯებ შემცირებაო. იტალიის დელეგატმა კიტორიო რიჩიმ განაცხადა საჭიროა ნედლი მასალის ძმური გაყოფა. საფრანგეთის დელეგატმა აღნიშნა საფრანგეთის ფინანსიური დაეკონომიური მდგომარეობა. ორატორმა იმედი ამოსთქვა, რომ კონფერენცია შეძლებს აღძრული პრობლემების გადაწყვეტას. შაბათს ორ სხდომაზე განიხილეს საკითხი საერთაშორისო კრედიტის შესახებ. სხვა და სხვა დელეგატებმა დელაკრუას პროექტის მაგვარი პროექტები წარმოადგინეს.

შაბათს ეგვიპტეში მიწა იძრა. მიწისძვრა 40 წამს გაგრძელდა. მსხვერპლი არ ყოფილა

მდგომარეობა რუსეთში.

თანახმა ჰელსინგფორსიდან მოსულ ცნობებისა საბჭოთა რუსეთი მძიმე მდგარეობის განგანიცდის მიუხედავად იმისა. რომ საბჭოები საიდუმლოებით ირკვევა. რომ მასკოვის მცხოვრებლები მართავენ მიტინგებს, და ზავის ჩამოგდებას მოითხოვენ. როგორც სხვა ცნობებიდან ირკვევა ლენინი და ჩიჩერინი მეტად შეშინებულნი არიან პოლონეთის და ვრანგელის უკანასკნელ გამარჯვებით, მით უფრო შეშინებულნი არიან ვრანგელის პოლიტიკით. რომელიც იმხრობს გლეხებს და მათ მიწებს ურიგებს. მეორის მხრივ ბრუსილოვმა მოწოდება გამოუშვა. სადაც იგი მოუწოდებს ყოფილ ოფიცრობას იმსახურონ წითელ არმიაში და დაიცვან სამშობლო უცხოეთისაგან.

პოლონეთის ჯარის ახალი გამარჯვება.

ვარშავა.

თანახმად გენერალურ შტაბის ცნობისა საბჭოთა დივიზიები ლიდათან სასტიკად დამარცხდნენ. მათი დევნა გრძელდება სექტემბრის 30 პოლკოვნიკ ბვნარსკის ნაწილები ნოვოგროდეკს მიუახლოვდნენ სექტემბრის 20—30—მდე მეორე არმიამ ხელთ იგდო 25,000 ტყვე და 100 ზარბაზანი. ბარანოვიჩთან პოზანის რაზმებმა ხელთ იგდეს 1000 ტყვე და 36 ნატრალიეზი.

გერმანიის განიარაღება.

სახელმწიფო თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ რეინის მარჯვენა ნაპირზე ნეიტრალური ზოლი გერმანიის ჯარებმა საბოლოოდ დასცალეს და გერმანიის ჯარი ოქტომბრის 10-ათვის 150,000 კაცამდე იქნება დაყვანილიო მეორე გერმანიის ოფიციალური ნოტა აღნიშნავს რომ სალიკვიდაციო დაწესებულებები უკვე დაიშალა. მათ საქმეებს საარმიო კორპუსების უფროსები იღებენ თავის თავზე სალიკვიდაციო დაწესებულებებში მოსამსახურეთა რიცხვი, რომელიც 1919 წ. ოქტომბერში 100,000 აღწევდა ამ ჟამად 12000 მდის ჩამოყვანილია.

საინფორმაციო განყოფილების ცნობები.

პარიზი. ენკენისთვის 27-ს, „ტანი“ ბეჭდავს „პროლეტარსკოე ეხოში“ დაბეჭდილ წერილს ლენინის სიტყვის შესახებ. ლენინს განუცხადებია: „თავისუფლება-ეს ბურჟუაზიის მოგონილია, ქვეყანას უნდა მართავდეს არა სახალხო ყრილობანი, არამედ რამოდენიმე კლასიური შემეცნებით გაჟღენთილი, მტკიცე პიროვნებაო. ყოველგვარი კრიტიკა ოპოზიცია მთავრობისადმი უნდა განიხილოს, როგორც კონტრ რევოლუცია.

რეპრესიები რუსეთში.

„ტანის“ ცნობით მოსკოვში კვლავ დაუწყიათ დაპატიმრებანი. დაპატიმრებულთა შორის იმყოფება ლევ ტოლსტოის ქალიშვილი ალექსანდრა, რომელიც სამი წლით ჩაუსვამთ ციხეში. იმავე ცნობით მოსკოვში გამოუქვეყნებიათ სია ხალხის მტრებისა, რომელთაც აკრძალული აქვთ რუსეთში შესვლა, ამ სიაში სხვათაშორის აღნიშნულია მაიკოვსკი, ალექსინსკი, პროფ. ნოვგოროდცევი, ძიაკონტინი-ასტროვი და სხვა.

ინგლისის მთავრობა და მუშები.

ლონდონი. 1 ოქტომბერს. (რადიო) მემაღაროების წარმომადგენლები მაღაროების მეპატრონეთა წარმომადგენელთა ვაჭრობის სამინისტროში შეხვდენ. ის თათბირი პირველი ნაბიჯი იყო ნახშირის საქმეში შერიგებისკენ გადადგმული. მთავრობამ განზე დადგომა გადასწყვიტა. დახარჯული შრომის ნაყოფიერების გაძლიერების პროპორციულად გაადიდონ ხელფასიც. პრესა იმედს გამოსთქვამს, რომ ერთი კვირის განმავლობაში ეს საკითხი საბოლოოთ მოწესრიგდებაო, პრესა აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ მუშათა წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს ერთ დიდ დასამტკიცებელ საბუთაგანს წარმოადგენდა საზღვარ გარედ ნახშირის გატანის მნიშვნელობაზე მითითებით. ნახშირის გატანის შეჩერება დამღუპველ გავლენას მოახდენდა ინგლისის მრეწველობაზე.

საღვთო კავშირი რუსეთის წინააღმდეგ.

ქრისტიანია. ენკენისთვის 25 ვენიდან იუწყებიან: უნგრეთის მთავრობამ წინადადება მისცა ანტანტას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალ კომბინაციის მოწყობის შესახებო. ამ კომბინაციაში ჩარეულია გერმანიაც. ამასთანავე ანტი-ბოლშევიკურ ძალებისადმი დახმარების აღმოჩენისათვის გერმანიას პოზნანის დაბრუნებას პირდებიან, ამტკიცებს რა სიმართლეს ამ ხმებისას მოსკოვის „იზვესტია“ აღნიშნავს, რომ ანტანტის და

შორის მოლაპარაკებაში მო- ბას იღებან რუსი კონ ინერებით ისინი ცდილობენ ლეთო კავშირი რუსეთის წი-

ენქ. 22 „იზვესტია“ (№ 192) რუს. სამხ. საბჭოს ბრძანებას, მოყვანილია ცნობა ვიაზმაში საარტილერიო საწყობში ცეცხლის შესახებ. ბრძანებაში აღ- რომ ცეცხლის დროს თა- ის პირებმა, რკინის გზის ერო ნაწილებმა და დარაჯებმა მოქმედობა, მოვალეობის დაუ- სიმხდალე გამოიჩინეს. პირ და შავენი ცეცხლის გაჩენისა ვერ ჩენილი, მაგრამ პასუხისგება- სხვა პირი, რომელთაც ლ ცეცხლის გაჩენაში, მათგან ხრიტეს, ნაწილს იძულები- ბა მიუსაჯეს. 7 კაცი კი სრუ- მართლეს.

ყირგიზეთის ავტონომია.

ენქ. 22 სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის თავ- ის კალინინის და ლენინის ით გამოქვეყნებულია დეკრე- ნომიურ ყირგიზეთის სოცია- საბჭოთა რესპუბლიკის დაა- შესახებ, ყირგიზეთში შედის: სა- ინსკის, აკმოლინის, ტურგაის იმერ კასპიის ოლქები და ას- გუბერნიის ნაწილი.

მდგომარეობა იტალიაში.

ენქ. 25. „კორიერა დელა სი- : არ არის არც ერთი ბ ილ- რომელსაც სწამდეს სერიოზუ- დროულობა იტალიის სოცია- რევოლიუციისა ვინაიდან ამ ში უეჭველია, რომ, მცხოვრე- მეტი ნაწილი დაიხოცებოდა სა და მათხოვრობისაგან. იტა- მუშებმა თავი უნდა გაანებონ ლ კომედიის თამაშობას. ჩვენ ავთ მდგომარეობის საშიშ- რომელსაც ბურჟუაზიის აპატია ობის სისულე უფრო აძლიე-

განიარაღება დამასკაში.

ხი. ენქ. 28 „ციურ ერ ციტუ : დამასკაში ფრანგებმა გა- ენ მცხოვრებთა განიარაღება. უნდა ჩააბარონ 9000 ი იარაღს უნახავენ ერთი წლით ებენ 500 სი ლირას გადაახ ნ, საფრანგეთის მმართველმა დახურეს კლუბები, რომლებიც ულებს ფრანგების წინააღდეგ დენ, დაშალეს სირიის ჯარე-

ბრიუსელის კონფერენცია.

ონი. (რადიო) ოქტომბერის 1. ერი“ ბრიუსელის საერთაშორი- სიურ კონფერენციის შესახებ ეს კონფერენცია, უფრო მე- ლე სხვა რომელიმე გამოხატავს ლიგის იდეას. ამ კონფერენცი მნიშვნელობა ექნება ყველა ფოებისათვის რადგან ის გამო- ს განსაზღვრულ პროგრამას ფუ- ხის ნორმალურ პირობებში და თანადათანობით აღორძინე- ბრიუსელის კონფერენციას, მისი ლებების ცხოვრებაში გატარე- დეგ დიდი მნიშვნელობა ექნება.

ფასი ავტომობილებზე.

რკიდან მოსულ ცნობებით ამე- ავტომობილო ფირმამ შეამცი- აწია ფასი ავტომობილზე ფა- რომ ფასი საერთოდ ყველგან

ჰაეროპლანის ჩამოვარდნა.

დიდი სამგზავრო ჰაეროპლა- არდა და დაიმსხვრა- მფრინავი ზაფრი, ამარ რიცხვში 3 ქალი, ამარალი ცენტრალურ საჰაერო ის კომპანიას ეკუთვნოდა.

უნივერსიტეტის რეფორმები.

ი. სექტ. 25. (№ 150) იუწყება იტეტის რეფორმების შედეგე- ხებ, ამასთანავე გაზეთი სწერს ვებში, რომელნიც უნივერსიტე- განაგებენ, პროფესორებთან ხიდან სტუდენტები, სამეურნეო ში კი დაბალმოსამსახურეთა დგენილებაც და რადგან სტუ- ს წარმომადგენლები უნდა ეკუ- ნ პარტიას, რომელიც მხარს საბჭოთა მთავრობას, ამიტომ უნივერსიტეტის გამგეობის ნაწილი კომუნისტია.

ლიცვა კავკასიის სა- თველოს საკონსულოში

უფ. რ. ს. ფ. რ. მისიის ბიუ- ლეტენიდან).

ი. „კომუნისტი“ № 141 მეთა- ერს: „საიდუმლო აგენტებისათ- ბილ იქმნა, საქართველოს სა- ქვეყანაში დიდ სპეკულიაციას ქართველოს საკონსულოს მო- ე პირთაგან, დიპლომატიურ ს სახით აგზავნიდენ თბილისში რუსეთის ბურჟუაზიის ძვირფასეულობას.

ამ რამდენიმე დღის წინ, საკონსულოს შიკრიკის ბარგის ზერელედ დათვალიერებისას აღმოჩენილ იქმნა 2 მ ლიარდის ღირებულების ძვირფასეულობა.

საკონსულოს ბეჭდით დალუქულ პაკეტებში, რომელნიც საგარეო საქმეთა მინისტრის გეგეჭკორის მისამართით იგზავნებოდენ, აღმოჩნდა 5 ფუთი ვერცხლი, 10 გირვანქა ოქრო, 5 მილლიონის ნიკოლოზის და დონის ფულები, მრავალი ბრილლიანტები, ალმასები და სხვა სიძვირფასე“.

ოსმალების შეტევა სომხეთზე.

სომხეთის დიპლომატიურ მისსიის სამხედრო წარმომადგენლობისაგან.

ნოვოსელიმის რაიონში.

ოფიციალური ცნობა: ღვინობისათვის 3-ს ნოვოსელიმის რაიონში ჩვენმა აეროპლანმა მტრის არტილერიას მოხერხებულად მოახვედრა ყუმბარები.

ყულფისაკენ.

ღვინობისათვის 4-ს დილით მტერმა დაიწყო იერიშის მოტანა ყულფთან. იერიშები მოგერიებულ იქმნა.

დანარჩენ ფრონტებზე.

დანარჩენ ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

მობილიზაცია.

მობილიზაცია ძლიერ კარგა მიმდინარეობს.

ოსმალეთის ჯარის დახევა

გაზ. „აშხატავორს“ ატყობინებს, რომ სომხის ჯარმა სასტიკად დაამარცხა ოსმალები, რომელნიც უწესრიგოდ იხევენ სარაყამიშიდან.

საპროტესტო დემონსტრაცია თბილისში.

დღეს ყველა სომხები: პროფ. კავშირები, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი, და კერძო დაწესებულებანი, ამქრები შეიკრიბებიან დილით ვანქის ტაძრის ეზოში და იქიდან გაემართებიან ყველა სახელმწიფოთა მისსიებში: ინგლისის, საფრანგეთის, საბერძნეთის და სხვა.., პროტესტით ქემალისტების თავდასხმის გამო და თხოვნით მიმართავენ რომ იგინი დაეხმარონ სომხეთის რესპუბლიკას თავდაცვის საქმეში, ვინაიდან სომხეთი „კარია“ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების.

სომეხ. ეროვნ. საბჭოს განკარგულება.

სომეხთა ეროვნ. საბჭომ აცნობა ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა რომ სომხეთის ის ქვეშევრდომნი, რომელნიც ჯარში გასაწვევნი არიან, განთავისუფლებულნი იქმნენ თანამდებობიდან ჯამაგირების და ადგილის შენახვით, ის პირნი კი, რომელნიც არ არიან გასაწვევნი ჩაეწერნენ მოხალისეთა ლაშქარში და მით განამტკიცონ მამულის დამცველთა რაზმები. ამ მოხალისეთ ისევე პირობით უნდა მოეპყრან, როგორც ჯარში გაწვეულთ.

განათლების მინისტრის ამხანაგთან.

გუშინ სომეხთა ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავჯდომარე არტაშეს ერზინკიანცი წარუდგა სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგს ბ-ნ ცინცაძეს და სთხოვა, რომ მთავრობის ყველა საშუალო და სამოქალაქო სკოლების მოწაფენი განთავისუფლებულ იქმნენ სწავლიდან მანიფესტაციაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც იმართება ქემალისტების წინააღმდეგ. ბ-ნ ცინცაძემ შუამდგომლობა შეიწყნარა.

სავაჭრო-სამრეწველოების დახურვა.

ვაჭრობა-მრეწველობის მამასახლისმა არ. მილოვმა განკარგულება მოახდინა, რომ საპროტესტო მანიფესტაციის მოწყობის გამო დახურულ იქმნეს დღეს ყველა სავაჭროები.

ამნაირივე განკარგულება მოახდინა ხელოსანთა ამქრების მამასახლისმა ფარსეღოვმა.

ახალი ამბები.

სამინისტროებში.

— **იუსტიციის სამინისტროში.** იუსტიციის სამინისტროს სოხუმიდან აუწყებენ ვოლკოვის (კუცინკოს) ციხიდან გაქცევის მომწყობ ორგანიზაციის აღმოჩენას. ვოლკოვი წინათ აღმოჩენილ კომუნისტთა ორგანიზაციის ერთი ბელადთაგანია.

— **შრომის სამინისტროში.** შრომის სამინისტროს მუშათა დამზღვევის განყოფილება მუშაობს ამ ჟამად: 1. 1920 წ. პირველ ნახევრის ფულის ანგარიშის შესადგენად. 2. იმ სამრეწველოთა რაოდენობის გამოსარკვევათ, რომლებზედაც ვრცელდება ივნისის 23 კანონი მუშებისა და მოსამსახურეების უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის შესახებ 3. დაზღვეულ მუშათა რიცხვის გამოსარკვევათ და სხვ.

— **ფინანსთა სამინისტრო.** ფინანსთა სამინისტროს ცნობით მიმდინარე წლის ავგისტოში სახელმწიფო გადასახადებისაგან შემოსულა 154,265.99 მან. წინანდელ თვესთან შედარებით შემოსავალი 32 მილიონ მანეთით გადიდებულა. უკანასკნელ თვეებში სახელმწიფო გადასახადებისაგან შემოსული გადასახადი ძალიან გაიზარდა, რაც სჩანს წინანდელ წლის ამავე თვეების შემოსავალთან შედარებით. ამ ხნის განმავლობაში შემოსავალი ცხრაჯერ გადიდებულა. კერძო საბაჟოებისაგან შემოსავალი 37 ჯერ გადიდდა. სახელმწიფო გადასახადებისაგან შემოსავალი ნამეტურ მიმდინარე წლის შეიქმნა თვალსაჩინო, მაგალითად ივნისში შემოვიდა 96 მილ. მანეთი, ივლისში 122 მილ. მანეთი, ავგისტოში— 154 მილ. მან. გადასახადებისაგან ყველაზე მეტი შემოსავალი ქონდა თბილისის ხაზინას, შემდეგ ბათუმს, სოხუმს, ქუთაისს, ფოთის და სხვ.

— **რკინის გზათ მოქმედება.** რკინის გზათა სამმართველომ შეადგინა მიმოხილვა საქართველოს რკინის გზათა მოძრავ შემადგენლობის მდგომარეობის და მეურნეობის შესახებ. მოხსენება ფართოთ ეხება საქართველოს რკინის გზების მდგომარეობას 1918 წ. და 1919 წლებში. აღნიშნავს რა მთელ რიგ დაბრკოლებას გზათა სამმართველო აღნიშნავს, რომ რკინის გზის ცხოვრების ნორმალური მსვლელობა თანდათან აღდგენილ იქნაო. რევოლიუციის დროს დამსხვრეული ორთქმავალები და ვაგონები შეკეთებულ იქმნა. საქართველოს სახაზინო რკინის გზას შემდეგი მოძრავი შემადგენლობა აქვს: სამგზავრო ორთქმავალი-55. საბარგო-267. სარონინო 60. ვაგონები კი სულ 4.734. რკინის გზის სამმართველოს მთავარ მიზანს შეადგენს მოძრავ შემადგენლობის შეკეთება ამიტომ მიმოხილვა ვრცლად ჩერდება სახელოსნოების მოქმედებაზე. სახელოსნოების ნაყოფიერების გასადიდებლად შემატებულია საღამოს სამუშაო საათები. ამით მეტად დაჩქარდა ორთქმავალთა შეკეთების საქმე.

თვითმართველობა.

— **ქალაქთა კავშირში.**—ქალაქთა კავშირის ცენტრალური ბაქტერიოლოგიური სადგური შავი ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინების დამზადებას შეუდგა. ვაქცინებს პირველად ყოვლისა ბათომს მიაწოდებენ. ამასთანავე დამზადებული იქნება ვირთაგვების საწამლავი.

— **ერობათა კავშირში.** ოქტომბრის 1 მოხდა ერობათა კომიტეტის პლენუმის სხდომა. კომიტეტის მოწვევით სხდომას დაესწრენ დამფუძნებელი კრების ზოგიერთი წევრები. მოისმინეს მოხსენება ადგილობრივი საერობო მოღვაწეობის შესახებ. მოხსენება მხედველობაში მიიღეს.

— **კანონ-პროექტი საერობო თვითმართველობის შესახებ.** ერობათა კავშირის კომიტეტმა უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: წარადგინოს დამფუძნებელ კრებაში კანონ-პროექტი საერობო თვითმართველობათა შესახებ, ამ პროექტში აღნიშნული იქნება დებულება მცირე საერობო ერთეულის და აგრეთვე სამაზრო ერობათა შესახებ. ვინაიდან კომიტეტმა საჭიროდ სცნო მცირე საერობო ერთეულის და სამაზრო ერობის არსებობა, ამიტომ გადასწყდა: სანამ არ იქნება დამუშავებული კანონ პროექტი სამაზრო ერობების შესახებ, პროექტი მცირე საერობო ერთეულების შესახებ დამფუძნებელ კრებაში არ იქნეს წარდგენილი.

— **ეპიდემიის საწინააღმდეგო ზომები.** ქალაქთა კავშირმა წინადადება მისცა სამტრედიის, ხონის, სენაკის, ზუგდიდის, ფოთის, ბათომის და ხაშურის ქალაქთ თვითმართველობათ წარმოუდგინონ კომიტეტს თავიანთი მოსაზრება და შემუშავებულ ხარჯთ-აღრიცხვა შავი ჭირის მოსალოდნელ გავრცელების საწინააღმდეგოთ. ზოგიერთ ქალაქებიდან უკვე მოვიდა ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი, რომელიც ერობათა კავშირის საექიმო ნაწილის სასანიტარო განყოფილებამ განიხილა, ამის გამო ერობათა კავშირმა აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ დასახელებულ ერობას ამ საქმისთვის გაუხსნან 5 მილიონი კრედიტი [illegible] ღონისძიებათა მისაღებად. ზემო დასახელებულ ქალაქებში შემუშავდებიან საგანგებო ინსტრუქციები.

— **დე-ბრუკერი სავაჭრო სამრეწველო პალატაში.** ამხ. დებრუკერი ოქტომბრის 2 ნაშუადღევის 2 საათზე ეწვია სავაჭრო სამრეწველო პალატას. საქართველოს ფინანსიურ ეკონომიურ მდგომარეობის გასაცნობად დებრუკერმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმპორტსა და ექსპორტს და ადგილობრივ მრეწველობის მდგომარეობას. დებრუკერს აინტერესებდა აგრეთვე სასოფლო სამეურნეო მრეწველობის მდგომარეობაც. დებრუკერი შეეხო საქართველოსა და ბელგიის შორის პირდაპირი სავაჭრო დამოკიდებულების შესაძლებლობის საკითხს. დებრუკერის თხოვნით პალატა ამზადებს საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ მასალას.

— **ნავთის მიწოდება მცხოვრებთათვის.** სასურსათო განყოფილებამ ნავთის წესიერად დარიგების მიზნით ქალაქი ოთხ რაიონად დაჰყო. ყოველ რაიონში საგანგებო აგენტი იქნა დანიშნული.

ბანკებში.

— **სახელმწიფო ბანკში.** სახელმწიფო ბანკის კანცელარია იუწყება: სავალიუტო კომიტეტმა დაადგინა: რომ საზღვარ გარეთ გამსვლელთ შეუძლიათ თან იქონ 100 გირვანქა სტერლინგი ან მისი თანაბარი 5.000 ფრანკი, 400 დოლარი, 420 ოსმალური ლირა, 7200 იტალიანური ლირა და ან 16 000 გერმანული მარკა. ასეთი თანხის გასატანად სავალიუტო კომიტეტისაგან განსაკუთრებული ნებართვა საჭირო არაა. საბაჟოებს უკვე ეუწყა სათანადო ცნობა,

— **სავალიუტო კომიტეტი.** სახელმწიფო ბანკთან დაარსებულ სავალიუტო კომიტეტი შესდგება: სახელმწიფო ბანკის საგარეო განყოფილებების მმართველის, ფინანსთა, მიწად მოქმედების და მომარაგების სამინისტროების, ერობისა და ქალაქების კავშირის და 11 საკრედიტო დაწესებულების წარმომადგენლისაგან, რომელთაც სავალიუტო ოპერაციების წარმოების უფლება აქვთ სავალიუტო კომიტეტის დადგენილებებს სათათბირო ხასიათი აქვს.

მუშათა ცხოვრება.

— **შინაგან საქმეთა სამინისტროში.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერობებს და ქალაქის თვითმართველებობს წინადადება მისცა წარმოადგინონ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ეს განკარგულება გამოწვეულია მით რომ დამფუძნებელ კრებას განზრახული აქვს ოქტომბერში სახელმწიფოს 1920 1921 წლის ბიუჯეტის განხილვას შეუდგეს. საკითხის ყოველ მხრივი გამოკვლევისთვის საჭიროა აგრეთვე საქალაქო და საერობო თვითმართველობათა ხარჯთ-აღრიცხვები.

— **იუსტიციის სამინისტროში** საოლქო სასამართლოს სამოსამართლო განყოფილებაში დაიწყო საქართველოს რკინის გზებზე დაშავებულთა საჩივრების გარჩევა. ამ საქმის გარჩევა შეჩერებული იყო ამიერ კავკასიის კომისარიატის დაშლის შემდეგ.

— **მუშათა მაგიდა.** მუშათა მაგიდამ რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირებს მიმართა ცირკულიარით, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მუშათა მაგიდა ხშირად იღებს შუამდგომლობას მომარაგების ფონდიდან ხორბლისა და სხვა სურსათ სანოვაგის მიწოდების შესახებ. შუამდგომლობას თანდართული აქვს მოსამსახურეთა და მუშების სიები, რომლებიც უმეტეს წილად არ არსებულ დაწესებულებების მიერ არის შედგენილი, უბრალო ქაღალდზე. და სადაც არ არის აღნიშნული სულთა რაოდენობა. ამიტომ მუშათა მაგიდას არ აქვს შეძლება დააკმაყოფილოს სრულიად მუშებისა და მოსამსახურეების მოთხოვნილება. საკითხის მოსაწესრიგებლად საჭიროა, რომ ამ საქმის ინიციატივა ადგილობრივ პროფესიონალურმა კავშირებმა აიღონ თავზე. პროფესიონალურმა კავშირმა უნდა შეადგინოს სამაზრო-სასურსათო კომისიები რომლებიც ვალდებულნი არიან: 1. გამოარკვიონ მოსამსახურეთა და მუშათა რიცხვი მაზრის ყველა დაწესებულებაში, 2) გამოარკვიონ რიცხვი იმ პირთა, რომლებსაც მუშები და მოსამსახურეები არჩენენ № 3) შეადგინონ ერთი მთლიანი სია მუშებისა და მოსამსახურეებისა ყველა დაწესებულებათა და წარუდგინონ მუშათა მაგიდას 2 ცალათ. მუშათა მაგიდა რწმენას გამოსთქვამს, რომ პროფესიონალური კავშირები ენერგიულად მოკიდებენ ხელს საქმეს და ყველა მაზრაში მათი საშუალებით მოწყობილი იქნება სურსათ-სანოვაგის მიწოდების საქმე.

— **ჭიათურის მუშების ტარიფი.** სატარიფო პალატამ ჭიათურის მარგანეცზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირს აცნობა, რომ შესწორებები რომლებიც შეტანილი იყო სექტემბრის 13, ჭიათურის მუშათა და მოსამსახურეთა ტარიფში, შევა ძალაში მისი სატარიფო პალატის მიერ მიღების დღიდან ე. ი. სექტემბრის 13 დან.

ნ. აზიანი

ფელეტონი

თვითმკვლელის წერილიდან:

„ძმაო გიორგი!

ვიცი, დიდად გაიოცებ ამ ჩემ საქციელს და დიდადაც გამამტყუნებ მაგრამ თუ ჩემს წერილს გულ დასმით ბოლომდის წაიკითხავ, მაშინ, დამეთანხმები, რომ მე სხვა გზა აღარა მქონდა.. შენ ხომ კარგად იცი, რომ მე ძალიან მიყვარდა სიცოცხლე და ისე მეჯავრებოდა, მეშინოდა სიკვდილისა, რომ თავის დღეში არც ერთ მიცვალებულის დამარხვას არ დავსწრებივარ... ქუჩაშიაც კი, მღვდლების გალობა რო მომესმოდა, ცხრამთას იქით გავრბოდი,—მკვდარი არ დავინახო მეთქი...

და დღეს ჩემი ხელით ვიკლავ თავს... გაცვდა გული... დავიღალე... აღარ შემიძლიან... ცალკე იდიალების დამარხვა (რაც მე მათ საფლავზე ვიტირე!) ცალკე ეს გაჭირვება... რომელი ერთი მოითმინოს ადამიანმა? არა, ადამიანს ბევრი რამ შესძლებია, პირუტყვზე მეტი მოთმინება ჰქონია! ბარაქალა, ადამიანო! ამ დღებში, ჩვენს სტამბაში ერიძის პური მიუგდეს ძაღლს,—უსუნა, მაგრამ არ შეჭამა.. მე კი ცუხცუხით წამოვარბენინე სახლში და, პამიდორთან ერთად, გემრიელად ჩავახრამუნე! ეენაცვალე პამიდორს! იმან გამაძლებინა, ის იყო ჩემი იმედი და ბურჯი ამ ბოლო დროს!.. ის რომ არ გამომთხოვებოდა და არ წასულიყო, იქნება მეც თავი არ მომეკლა.. რამდენიც იმის ლოყებზე სიწითლე ხუნდებოდა ამ შემოდგომას, იმდენად ჩემი გული წვეთ-წვეთად ილევებოდა დარდისგან... დიახ, იმის წასვლამ და ჭიქის გატეხამ დიდად იმოქმედეს ჩემ პსიხიკაზე... შენ ხომ იცი, რომ თავათ ისედაც დიდი ბარგი და ნივთი არ გამაჩნდა და, რაც გამაჩნდა, ყველა მივყიდ-მოვყიდე ამ ბოლო დროს (ასე გასინჯე), ლეიბსაც კი გამოვეთხოვე და იატაკის ტილოებზე ვწევარ ეხლა! ძაან კი გამომადგა ეს იატაკის ტილოები,—საცვლებიც მაგისი დავიკერე...) შემრჩა ერთი ჭიქა... ისიც აკი ღმერთი არ გამიწყრა, ხელიდან არ გამისხლტა და არ გამიტყდა ამ დღებში! ,,უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“—სწორედ ამაზე იტყვიან!... გულს შემომეყარა, ბეზობლებმა ძლივს მომაბრუნეს... კიდევ კარგი, რო მოვისაზრე, ვაქსის ყუთი გამოვრეცხე და იმასა ვხმარობ წყლის დასალევათ, თორე საიდან უნდა მეყიდა ახალი ჭიქა? მგონი, შენც შეგატყობინე ჩემი უბედურობა (ჭიქის გატეხა)... შენგან სამძიმრის წერილი მოვიდა და მანუგეშებდი—,,არა უშავსრა, თავისუფლების გულისთვის უნდა მოითმინოო“, ძაან აბეზარი კი ყოფილა ეს შენი ,,თავისუფლება“, ჩემო ძმაო! სულ ,,მოითმინე“, ,,მოითმინეო“ და თვითონ კი არაფერს იმეტებს! მღვდლებსაც მაგიტომ ვაქციე ზურგი, რომ იმ ქვეყნათ მპირდებოდნენ სამოთხეს, ამ ქვეყნათ კი მოთმინებას მირჩევდნენ... მე, ჩემო ძმაო, ეპიკური ვარ ბუნებით და ამ ქვეყნათ მინდა ბედნიერება... როგორც ,,კარტოქნიკები“ ამბობენ-,,деньги на столъ!“ დაპირებები არა მწამს... მერე, ცოტა მოვითმინე, ცოტა თხლაშა-თხლუშები მივიღე მაგ შენი თავისუფლებისაგან. მარტო სიტყვა ,,ამხანაგი“ რაფასათ დამიჯდა მქონდა! ერთ მუშასთან საქმე მქონდა და მივმართე: ადამიანო მეთქი. გავახსენე თუ არა ეს სიტყვა, იმ წამსვე პირში შემომაფურთხა.—„შენი ,,ადამიანი“ ვინ არი, ,,ამხანაგს“ ვერ დამიძახებო?!“ ჩავიწერე დავთარში და და ყველას ,,ამხანაგს“ ვეძახდი, მაგრამ ბედი რო არა მწყალობს,—არა მწყალობს! ამ დღეებში მაგ „ამხანაგობისთვისაც“ კაი სილა არ მომხვდა! მერე ვისგან?—ერთ პატიოსან ინტელიგენტისაგან, რომლისგანაც არავინ ელოდა ამ მხეცურ საქციელს!—მით უმეტეს მწარე იყო ჩემთვის ეს სილა! როგორც კი გამაცნეს და მივმართე: ამხანაგო-მეთქი გამიშალა და ისეთი სილა მტკიცა, რომ რომ ყბა გვერდზე მომექცა!—,,შენ ვის უბედავ შეურაცყოფასაო?!“ მას შემდეგ მოვდივარ და ვკითხულობ, რა სჯობიან: „ამხანაგობა“ თუ ,,ადამიანობა?“ ზოგი რას მეუბნება, ზოგი რას.., გზა-კვალი ამებნია, აღარა მესმის რა, ჭკუიდან ვიშლები... ან მე გავგიჟდი, ან ქვეყანა... ქემალ-ფაშა თურმე უკიდურესი სოციალისტი და ორტოდოქსალური მარქსისტი ყოფილა, კაუცკი და პლეხანოვი კი—კონტრ-რევოლიუციონერები... დასწყევლა ღმერთმა, მე კი მთელი სიცოცხლე სულ სხვა რამეებს მაგონებდნენ და მასწავლიდნენ!.. ეხლა სადღა გადმოვაბრუნო მთელი ჩემი გონება და აზროვნება? სად არის სიმართლე, სად არი ტყუილი? ქ-ნ სიმართლისა არ იყავს ყველა მის სახელით ფიცულობს და ჯერ კი თვალით არ მინახავს!.. არა, ძმაო, თქვენთვის დამილოცნია აწმყოცა და მომავალი ,,სამოთხეც!“

მე კი იქ წავალ, საცა არც ,,ამხანაგობა,“ არც კომისრები, არც ერაძე, არც მომარაგების სამინისტრო და სხვა ჯანაბა! მშვიდობით, არ გამამტყუნო! შენი ძმა ვასო.

ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

ენკენისთვის 28-ს 1920 წ. პოლკოვნიკი აბესაძის მიერ თანახმად ჩემი ბრძანებისა ნაწარმოები კვლევა-ძიებიდან გამოირკვა შემდეგი ა. წ. მარიამობისთვეს როცა გემი „მერანით“ შვებულებაში უნდა გამგზავრებულიყო მე 2 ათასეულის ორასამდე ჯარის კაცი, იმავე ათასეულის მაიორმა ლექვინაძემ მიიღო ცნობა, რომ რამოდენიმე ჯარის კაცმა გაიტაცა ათასეულიდან სახაზინო ნივთები სოფელში წასაღებადო. მაიორი ლექვინაძე მყისვე გაეშურა ნავთ სადგურისაკენ სამი ჯარის კაცისა და ერთი ლეიტენანტის თანხლებით, მან შეკრიბა გემზე მყოფი ჯარის კაცები რა გამოუცხადა მათ: მე ვიცი რომ ზოგიერთმა თქვენთაგანმა წაიღო ათასეულიდან ახალი სახაზინო ნივთები, რომელიც ძლიერ საჭიროა აქ დარჩენილ ჯარის კაცებისათვის, ამიტომ გიბრძანებთ, აქვე ჩაგვაბაროთ აღნიშნული ნივთები. არავინ პასუხი არ გასცა. მაშინ მაიორმა ლექვინაძემ დაიწყო ჩხრეკა ჯარის კაცების ბარგისა და როცა შენიშნა ერთი ჯარის კაცი ფეხშიშველია, დაეკითხა მას, სად არის ფეხსაცმელიო და მისგან მიიღო პასუხი ,,არ მომცესო“ გაუჩხრიკა ბარგი მას და იპოვა ორი წყვილი ახალი ხაშლები (ბატინკები) და ორი ახალი მაზარა. ჩამოართვა ეს ნივთები და გაარტყა სილა. მეორე ჯარის კაცს რომელმაც არ დაანება თავის ახალი ხაშლები (ბატინკები) გახადა მას ძალით, ყუთის გაჩხრეკის შემდეგ მასაც უნახა ერთი წყვილი ახალი ხაშლი, ჩამოართვა და სილა იმასაც გაარტყა. მეორე ჯარის კაცს ბარგში აღმოაჩნდა სახაზინო კარავი და სილა იმასაც გაარტყა. მეოთხეს ყოფილ მეკუჭნავეს, გამოაჩნდა ერთი ფუთი შაქარი, რომელიც ჩამოართვა, მაგრამ არ უცემია, ვინაიდან ეს უკანასკნელი გამოტყდა და ბოდიში მოიხადა. სულ მაიორმა ლექვინაძემ ჩამოართვა ჯარის კაცებს რვა წყვილი ახალი ხაშლი, ექვსი ცალი ნაბდის მაზარა, კარავი და ერთი ფუთი შაქარი. ამ ნაირად, მაიორმა ლექვინაძემ გამოიჩინა რა ერთის მხრივ დიდი ენერგია და სამსახურებლივი მოვალეობის ზედმიწევნის ასრულების უნარი, რაც გამოისახა დასახელებულს ნივთების ხაზინისადმი დაბრუნებაში მეორე მხრივ მან ვერ შესძლო მართებული სიმაღლეზე თავის დაჭერა და იმის მაგიერად, რომ ბოროტ-მოქმედნი ჯარის კაცები დაეჭირა და პასუხის გებაში მიეცა, მან ისინი ცემა ტყეპით გაისტუმრა სოფლისაკენ, რამდენადაც მაიორი ლექვინაძის პირველი საქციელი საქებია და მისაბაძი, იმდენადვე მისი მეორე საქციელი ჯარის კაცების მოქმედებით შეურაცყოფა-გასაკვირია, დასაგმობი და სასტიკად დასასჯელი, მაგრამ ვიღებ რა მხედველობაში მის ხანგრძლივ სამსახურს და იმ უწარჩინებულეს ატტესტაციას, რომლითაც მას ახასიათებს სამსახურებრივი თვალსაზრისით მისი უფროსი, ათასის თავი ამ შემთხვევაში, საკმარისად ვსცნობ მისთვის დისციპლინარულ სასჯელს. ვაპატიმრებ მაიორ ლექვინაძეს ჯარის კაცების გალახვისათვის გაუფთვახტში ხუთი დღე და ღამით და მასთან ვაფრთხილებ მას, თუ მან შემდეგში ასეთი სამარცხვინო და ადამიანის ღირსების დამამცირებელი საქციელი კიდევ ერთხელ განიმეორა, იგი სრულიად დათხოვნილი იქნება სამსახურიდან და პასუხის გებაში მიცემული. ეს სასჯელი დაუყონებლივ მოიყვანოს სისრულეში ათასის თავმა. ათასის თავმა მიიღოს ზომები დაჭერილ იქმნას დამნაშავე ჯარის კაცები და მიცემულნი პასუხის გებაში. გარდა ამისა ვბრძანებთ: იქმნას სახელმძღვანელოდ მიღებული და სრულის სიმტკიცით დაცული ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ 25 ავგისტოდან № 130 ს ბრძანება წაკითხულ იქმნას გუნდებში და რაზმებში.

ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის კრიზისის გამო

უკანასკნელ ხანებში ჩეხო-სლოვაკიაში მოხდა მთავრობის კაბინეტის კრიზისი, რის შესახებაც დაწვრილებით ბევრმა არაფერი იცის; განსაკუთრებით ეს არ იციან თბილისში, სადაც ჩეხური გაზეთები ან სულ არ მოდის, ან ერთობ გვიან. მიუხედავათ ასეთი უხერხული მდგომარეობისა შეიძლება მაქსიმალურად აღინიშნოს კაბინეტის კრიზისის ზოგიერთი ძირითადი მიზეზები.

მასარიკის მიერ უკანასკნელად მთავრობის კაბინეტის ხელმძღვანელად მოწვეულია იანი ჩერნი,—რესპუბლიკის ორი წლის არსებობის განმავლობაში მეოთხე პრემიერია; პირველი სამინისტრო, რომელსაც მეთაურობდა დოქტორი კრამარჟი რევოლუციური გადატრიალების შედეგი იყო და კოალიციური შემადგენლობა ჰქონდა; მასში შედიოდენ ყველა პარტიის წარმომადგენლები,—სოციალისტებიცა და კლერიკალებიც. ეს სამინისტრო შესდგა ეროვნული ყრილობის არჩევნებამდე, მაგრამ მუნიციპალურმა და შემდეგ დამფუძნებელი კრების არჩევნებმა გამოაშკარავა მასსის მარცხნით გადახრა. შესდგა მეორე კაბინეტი სოციალ-დემოკრატის ტუსარის მეთაურობით; ეგი იყო რედაქტორი სოციალისტური გაზეთის ,,თანასწორობისა" და ავსტრიის პარლამენტის ყოფილი წევრი. ყოველ შემთხვევაში ერთფეროვანი სამინისტროს შედგენა მან მაინც ვერ შესძლო. ჩეხების სოციალისტურმა პარტიებმა, და როგორც სხვა ნემეცურმა სოციალისტურმა პარტიებმა მთავრობაში შესვლაზე უარი განაცხადეს, და დამფუძნებელი კრების არჩევნებსაც ბოიკოტი გამოუცხადეს. იძულებული შეიქნენ ისევ კოალიციური პრინციპისათვის მიემართათ და ტუსარის სამინისტროშიც შევიდნენ სოციალ-დემოკრატები, ჩეხო-სლოვაკიის სახალხო სოციალისტები და ჩეხის აგრარიები. უკანასკნელნი წარმოადგენენ ჩეხების შეძლებულ გლეხებსა და ამათი პროგრამა პოლიტიკურ რადიკალიზმს არ ჰცილდება, მაგრამ სოციალისტები კი მაინც გვერდს ვერ აუვლიდენ, იმდენად ძლიერი იყო მასაში აგრარიების გავლენა. ეს გარემოება სამინისტროს ავტორიტეტს სცემოდა და ტუსარმაც კაბინეტის შემადგენლობაში მემარცხენეთა სასარგებლო ცვლილება შეიტანა. მაგრამ ვერც ამ ცვლილებამ გააკეთა საქმე, გერმანული სოციალ-დემოკრატები მაინც არ შედიოდენ მთავრობაში. ამავე დროს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ უშვებდა არც ერთს შემთხვევას, რომ როგორმე მთელ სამინისტროსათვის სახელი გაეტეხა და ყოველ ნაბიჯზე შეუწყნარებელი ოპოზიციას აწარმოებდა. ოპოზიციას გვერდს უმშვენებდა აგრეთვე კომუნისტები შმერალისა და მუნას მეთაურობით. ასეთს კრიტიკულ მომენტში დიდს პოლიტიკურ მნიშვნელობას დებულობს რუსეთ პოლონეთის ომი. ამ დროს ჩეხების სოციალ-დემოკრატებში თავი იჩინა მემარჯვენე და მემარცხენე მიმდინარეობამ. ეს მოხდა რუსების ვარშავაზე შეტევის დროს. სამინისტრო გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა; ამ გარემოებამ აიძულა ჩეხების სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მემარჯვენე ფრთას გამოეშვა მანიფესტი ტუსარისა და ჩეხეთის პალატის თავმჯდომარის ტომაშევის თავმჯდომარეობით.

მანიფესტში ნათქვამი იყო, რომ პარტია დაიშალა ტაქტიკურ საკითხების გარშემო. ის რასაც მარჯვენა ფრთა სავსებით იზიარებდა, მარცხენა ფრთა სოციალიზმის ღალატად სთვლიდა. ყრილობამ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სურვილი გამოსთქვეს კოალიციურ მთავრობის შესადგენად ემუშავნათ. პარტიის აღმასრულებელი ორგანოები ცხოვრებაში ატარებდენ ყრილობის დადგენილებას, მაგრამ მარცხენა ფრთა დროს არ ჰკარგავდა და მთავრობის ავტორიტეტს ძირს უთხრიდა.

მანიფესტი უარსყოფს სოციალიზმის განხორციელების საქმეში რუსულ მეთოდს; პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, რომ შევეცადოთ ჩვენ დავეჯახებით ისეთს დაბრკოლებას, როგორიცაა სოფლის გლეხობა, ბურჟუაზია და შკოლის ინტელიგენცია. ამ კლასებს ჩვენში სულ სხვა ძალა აქვთ ვიდრე რუსეთში. ამით ჩვენ შევიქმნიდით დაუთავრებელ სამოქალაქო ომსა და სხვას ვერაფერს. ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალა უფლების დაპყრობას. ჩვენ უფრო საყურადღებოთ მიგვაჩნია საკითხი იმის შესახებ შევირჩენთ თუ არა ძალა-უფლებას, მანამ სანამ დადგებოდეს სოციალიზმის განხორციელების დრო.

ამ რიგად მანიფესტში საკითხი იყო დასმული არა სოციალ—დემოკრატიული პარტიის შინაური განხეთქილების შესახებ, არამედ კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების შესახებ. ამას მოჰყვა კაბინეტის გადადგომა. ახალი კაბინეტი შესდგა ისეთი ხალხისაგან, რომელთაც არავითარი პოლიტიკური წარსული არ ჰქონდათ. გამონაკლისს შეადგენს საგარეო საქმეთა მინისტრი ბენეში, რომელიც რესპუბლიკის წარმოშობის დღიდანვე უპარტიოთა პორთფელით შერჩა მთავრობას.

საერთოდ კი ეს უკანასკნელი კაბინეტი უფრო საქმიანი გამოდგა.

საქართველოს ფულის დაცემის ახალი წყარო

ქართული ფულის ფასის დამცირებას ბევრი სხვა და სხვა გარემოება უწყობს ხელს როგორც შიგ რესპუბლიკის ფარგლებში, აგრეთვე გარედანაც. შიგ საქართველოში ფულის ღირებულობის დაცემა იმ ზომამდე მივიდა, რომ ქართულ ფულს (ბონებს), რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს ბუნებრივი სიმდიდრით და მისი ბიუჯეტით, დიდი უმრავლესობა რესპუბლიკის მოქალაქეთა ჩენის მზგავს ნივთიერებათ სთვლის. 50 კაპეიკს, მანეთის და სამი მანეთის საღირალის ალებ-მიცემობა მოისპო და ამ ბონების ბრუნვა ხალხისათვის საინტერესო აღარ არის. აღარც თვით ბონები არის მსვლელობაში, ისინი დაცვდა, დაიხა, გაქრა. დღეს 5 მანეთიან ბონს თუ აქვს გასავალი ალებ მიცემაში, მაგრამ ცხადია მასაც მოკლე ხანში დაეკარგება ფასი და გაცვეთილს და უმნიშვნელოს ხალხი სანაგვე კალათში მოათავსებს, ასეთივე დღე მოელის 10 მანეთიან და 50 მან ბონებსაც და ჯერი მიდგება 100 მანეთიანზე. ასეთი ბედი ეწია ქართულ ფულს არსებული პოლიტიკური და ფინანსიური წრეების მეოხებით. ხალხს ქაღალდის ფული იმდენად ეზიზღება, რომ მას დაუზოგველად ეპყრობა: სრესავს, სთელავს ჰკევს, ჰმუჭნის ხელით, არ ჰკეცავს, არ ასწორებს, არ უწყობს ხელს მის სათუთად დაცვას. გაიარეთ რომელიმე ბაზარზე, ან შეხვალთ სავაჭროში და დაინახავთ, რომ ფული დაჭმუჭნილი ყრია ქუდში, ფიცარზე, კოლოფში და ჯიბეშიც. ტრამვაის მოხელეთ ხომ სულ არაფრად აღარ მიაჩნიათ. რაც მათ ხელში ფული გაივლის, სულ ერთბაშად ცვდება, იხევა, ხელიდან ხელში გადადის დაჭმუჭნული.

უბედურება კიდევ ის არის, რომ ქართული ფულის ფასის დამცირებას ახალი წყარო აღმოუჩნდა, ის უნდა გაიზიდოს საზღვარ-გარეთ იმ კურსით, რომელიც აქ, საქართველოში უცხო ვალიუტაზე იქნება და სამაგიეროთ კი სახელმწიფოში არც ერთი შაურის საღირალი არ შემოვა. სად არის ეს ახალი წყარო? ეს წყარო გახლავსთ შიგ საქართველოში. 1918 წელს სამინისტროს ნებართვა მიეცა დაარსებულიყოს საქართველოში ცეცხლის ზარალისაგან უზრუნველმყოფელი საზოგადოება, (Кавказское страховое транспортное О-во) რომელიც მიმდინარე წელს შეუთანხმდა ინგლისის ამგვარ საზოგადოებას, რათა 1-ს მარიამობისთვიდან გადასცეს მას პასუხისგება უდიდესი ნაწილისა იმ ჯამისა, რომელშიდაც დიდ ფასიანი ქონება: უძრავი და მოძრავი იქნება დაზღვეული.

ცხადია,, რომ დამზღვევი საზოგადოება ასეთის პირობებით ისარგებლებს, დააზღვევს: შენობებს, ქარხნებს, ფაბრიკებს, მოძრავ ქონებას და უდიდეს ნაწილს პასუხისგებისას გადასცემს ინგლისის საზოგადოებას, თან გააყოლებს ხალხის ფულს პრემიის სახით, ყოველივე მოცილეობის გარეშე ალებულს, ცხადია, რომ პრემიას რაოდენობა არ განისაზღვრება ათასი და ათი ათასობით, იგი ბევრად ასცილდება 100 და 200 მილიონებს.

შეიძლება სთქვან: დაზღვეული მამული დაზარალდება და უდიდეს ნაწილს ზარალისას ჰფლავს ინგლისის საზოგადოება და გაზიდული ფული ისევ დაბრუნდებაო, მაგრამ ასეთი შეხედულობა დიდად შემცდარი იქნება. წინად არსებულ რუსეთში იყო გაძლიერებული ასეთი პოლიტიკა, იქაც იყო რამოდენიმე ათეული სააქციონერო დამზღვევი საზოგადოება, ისინიც დიდ ნაწილს პასუხის გებას გადასცემდენ ხოლმე ინგლისის, საფრანგეთისას, გერმანიისას და სხვა სახელმწიფოთა დამზღვევ საზოგადოებათ და დიდ ძალი ფული რუსისა გაიზიდებოდა რუსეთიდან. ამისათვის და სხვა ვალუტის თავის დროზე გადახდისათვის რუსეთს ოქროს ფული საზღვარ გარედ სათადარიგოთ ჰქონდა, მაგრამ რუსეთის ხალხის შეგნებულმა ნაწილმა რომ დაინახა რა დიდი ზიანი მოსდიოდა ხაზინას და ხალხს, წინა აღუდგა ასეთს ფინანსიურ პოლიტიკას სხვა და სხვა ზომებით: საერობო დამზღვევი პირობებით ქალაქებში ადგილობრივი საურთიერთო ნდობის საზოგადოების დაარსებით და ბოლოს კი 1911—1914 წლებში ქალაქებში არსებულმა საზოგადოებათა კავშირმა სრულიად დაჰგმო სააქციონერო საზოგადოებათა პოლიტიკა და სახელმწიფო სათათბიროში, შინაგან საქმეთა მინისტრის სასურველ დასკვნით, შევიდა საკითხი, რომ რუსეთის ქონების გაზღვევა საზღვარ გარედ მოსპობილიყო; მაგრამ საკითხს მოუსწრო საერთაშორისო ომმა, მასთან რევოლუციამაც და საკითხი გაჰქრა.

დღეს ვხედავთ, რომ ეს ნაცადი გაყვლეფა ხაზინისა და ხალხისა საქართველოში შემოიღეს. ვინ აღუდგება ამას წინ? არავინ..

სამინისტრო თანახმაა ფული გაიზიდოს; საქართველოს ერობათა ორგანიზაცია სდუმს; ქალაქებში (თბილისში, ქუთაისში, ბათომში და სუხუმში) არსებული დამზღვევი საზოგადოებანი არას ჰფიქრობენ; საქართველოს სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოებას, რომელიც შესდგება: ერთი ნახ. თვით მთავრობისაგან და ერთი ნახ. კერძო პირებისაგან, სულ დაავიწყდა თავის წესდება და დაზღვევის საქმე ვერ მოუწყვია მაშ, დარჩა ბურთი და მოედანი საქართველოში არსებულ კავკასიის საზოგადოებას.

ნუ თუ შეუძლებელია ამ ჯადოსნურ წრიდან თავის დაღწევა, რომ ინგლისს ჩვენი უკანასკნელი ქონება ხონჩით არ მივართვათ.

ო. ხ.

დაიჭერენ, მილიციონერები (არა ახვლედიანისა) დაირბოდნენ და ათასგვარ გაჭირვებაში მყოფ ხალხს ქათამს აცლევნებდნენ და თავისუფლად შეექცეოდენ. ვის არ უყვარს ქათმის ხორცი. როგორც ამბობენ, თურმე ძალიან გემრიელიაო. არც მუშას აწყენდა [illegible] მოხარშული დედალი, მაგრამ, საბრალო, შავი დღისთვის ინახავდა. ერთ ოჯახში დიასახლისი უკანასკნელ დღეებში ავადმყოფობდა, მის მეტი ქალი ოჯახში არ იყო, მივიდნენ და დაღლილ მუშას, მამაკაცს, გააკეთებინეს ქათამი და გამოაცხობინეს ქადები. ქონდათ მათ ამისი უფლება?..

დღესაც დიდად შეშინებულია სოფელი და თოფის ხმის გაგონებაზე სასოწარკვეთილებაში ეცემიან. ზოგიერთი თავაღებული პიროვნება ამის ანგარიშს როდი უწევს.

24 ენკენისთვეს, საღამოს, ძლიერ ცუდი ამინდი იყო. მოვიდა საშინელი კოკისპირული წვიმა. ხალხი შიშისზარმა აიტანა, რადგან ხედავდნენ ვლახა ღრუბელს, ეშინოდათ სეტყვა არ მოვიდეს და პურ ნახული არ გაგვიფუჭოსო. შეიქნა პიჯვრის წერა და ვედრება. ერთი საათის შემდეგ გადაიღო და ხალხიც ცოტათი დაწყნარდა. მაგრამ ნაშუაღამევს ატყდა საშინელი სროლა. „რა ამბავია, ვიღუპებით, ალბად ყაჩაღები და მილიციონერები ერმანეთს შეეტაკნენ, ეს არის ახლა დადგა ჩვენი აღსასრულის დღეო. თურმე ორი გვარდიელი, რობაქიძეები, ახლად ჩამოსულები, თავს იქცევდნენ და უთავბოლოდ ისროდნენ ვინტოვკებიდან. რომ სამართალი იყოს, სწორედ დასაჭერია ისინი და სასტიკ პასუხისგებაში მისაცემი, რომ სხვამ აღარ გაბედოს ისეთი თავაღებული მოქმედება, როგორსაც ადგილი ქონდა რობაქიძეების მიერ. სათემო ერობაც უნდა აქცევდეს ასეთ უკანონო მოქმედებებს ყურადღებას...

დემოკრატი.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე.
3102.თვ.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო მთავარი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ქიის ცხვრის ხახულე—მილის ავადმყოფობას ვქიმობ „ნეიმანის და ვესსელის" მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე" (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 ს.
ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2.
თვ. 43

მატარებლის მიმოსვლა.
თბილისიდან მიდის.

ბორჯომამდის	№ 17	7. 5
ბორჯომში ჩადის		2. 0
ფოთამდის	№ 3	9. 5
ფოთში ჩადის		10. 2
ბორჯომამდის	№ 19	2. 3
ბორჯომში ჩადის		8. 0
ბათომამდის	№ 17	8. 0
ბათომში ჩადის		9. 0
ბათომამდის ჩქარი	№ 5	11. 4
ბათომში ჩადის		11. 2
თელავამდის		8. 3
ქუთაისამდის	№ 9	9. 5
ქუთაისში ჩადის		6. 0
სანაინამდის		1. 4
სალ-ოღლამდის		10. 1

თბილისში მოდის.

ბორჯომიდან	№ 20	12. 3
თბილისში მოდის		6. 3
ქუთაისიდან	№ 12	11. 4
თბილისში მოდის		9. 3
ბათომიდან ჩქარი	№ 6	11. 0
თბილისში მოდის		12. 1
ბათომიდან	№ 8	3. 5
თბილისში მოდის		7. 4
ფოთიდან	№ 4	8. 2
თბილისში მოდის		7. 4
თელავიდან		7. 0
სანაინიდან		11.
სალ-ოღლიდან		4.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3-მე კურსელი
სტუდენტი იღებს
გაკვეთილებს
იკითხეთ ეროვნულ დემოკრატიულ ბიუროში, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 დილის 8—1 საათამდე. უფ.

ფორტეპიანის კლასი
ია. ლ. პორტუგალოვის
მოწაფეთა მიღება ყოველდღე 12—3 და 5—7-დის. ველიამინოვის ქ. № 3
ლაქის თვითმართველობის გვერდზე.
10—3130

დავკარგე
გრიგოლ ეპიმახის-ძე ასათიანმა ქ. ქუთა
სი თვითმართველობისაგან მოცემული მოწმობა № 628
3162

ჩვენი კორესპონდენტები

ს. სიქთარუა

(თერჯოლის თემი).

სოფელ სიქთარუის მოქალაქეებმა ამ ორი თვის განმავლობაში დიდი შიში გამოიარეს. თითქმის მთელი სოფელი წახდა ზოგიერთი ვაჟბატონის წყალობით. ბევრი ამბობს, რომ სიქთარუის მცხოვრებთა შორის ბოროტი მეტია, ვიდრე კეთილი ო. სიცრუეა. „ერთმა თაგვმა ასი ქვევრი წაახდინაო" ნათქვამია და ისე მოუვიდათ სიქთარუელებსაც. სიქთარული პატიოსანი და კეთილი ამბობს: ნეტავი შემეძლოს და იყოს სადმე ადგილი მოვშორდე ამ სოფელს და იქ დავესახლოო. ადმინისტრაციის მიერ, მართლაც, გლახა მდგომარეობაში ჩავარდნენ ისინი: ისიც ეყოფოდათ, რაც გაჭირვება გამოიარეს ქურდ ბაცაცებით და განიცდიან დღესაც. მახსოვს მილიციონერები თოფით და ბარით რომ ურტყამდნენ ხალხს, მახსოვს ისიც, რომ სოფელში დაქეიფობდნენ, მახსოვს ის, რომ სანამ ბარბაქაძეს და უკლებას

სპ. კედიას სიტყვა დამფუძნებელ კრებაში

(ბიუჯეტის გარჩევის დროს).

დღეს თამბაქო ოქროს სწორი საქონელია ისე, როგორც მატყლი, მარგანეცი და პარკი. საკუთარის თქმით, მთავრობა თამბაქოზედ აშენებდა ვალიუტისა და სავაჭრო ბალანსის საქმის გამოსწორებას. ამის მაგიერ მან მოწეული თამბაქოც დალუპა და ჩვენი სოფლის მეურნეობის ეს უდიდესი დარგიც გაანადგურა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ საქართველო ყოველწლიურად დიდ ძალ თამბაქოს იძლეოდა, დაახლოვებით 800,000 ფუთს. მოსალოდნელი იყო, რომ მთავრობა ამ დიდს სამეურნეო დარგს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა და არ მიიღებდა ისეთ ზომებს, რომელიც ამ თამბაქოს მოყვანას სასიკვდილოდ დასჭრიდა! მოლოდინი გაცრუვდა. გამოუცდელის ხელით იგი ეძგერა როგორც თამბაქოს გასაღების საქმეს, ისე მის მოწევის საქმესაც, და ამის შედეგათ ეს სამეურნეო დარგი დღეს დღეობით, განადგურებულად უნდა ჩაითვალოს. მცოდნე პირთა ცნობით წელს 20—30,000 ფუთზე მეტი არ მოვა.

(ღლონტი: თქვენი წრეებია დამნაშავე) ამას ჩვენ ვნახავთ.

თამბაქოს კულტურა თავის თავად არ აღმოცენებულა საქართველოში. ეს იყო შედეგი იმ წრეების მიზანშეწონილი ეკონომიური საქმიანობის ცოდნისა და ტექნიკის, რომელთაც თამბაქოს მრეწველობა სპეციალობად ჰქონდათ დასახული. ამ 20 წლის განმავლობაში მიზან შეწონილმა და განუწყვეტლმა მზრუნველობამ საქართველოს მეურნეობის ეს დარგი ერთ უმაღლეს და უდიდეს დარგად გახადა, მისი წლიური წარმოება წლიდან 800,000 ფუთამდე აიყვანა! უეცრად წარმოებულმა მონოპოლიამ არამც თუ წინ ვერ წასწია საქმე, არამც თუ არსებული მდგომარეობა ვერ შეინახა, არამედ მთელი საქმე ერთბაშად ძირს დასცა; და 800000 ფუთიდან 20—30,000 ფუთამდე ჩამოიყვანა!

საქართველოში მოწეული თამბაქოდან საქართველოს საზღვრებში ყოველწლიურად მუშავდებოდა დაახლოვებით 100—150 ათასი ფუთი, დანარჩენი 600 ათასი ფუთზე მეტი რუსეთსა და უცხოეთში გაჰქონდათ, ბოლო წლებში უცხოეთში გაჰქონდათ დაახლოვებით 80.000 ფუთი, რუსეთში—კი დაახლოვებით ნახევარი მილიონი. ომის წინანდელი ბაზარი, რომ ვიანგარიშოთ—ფუთი 15 მანეთი და გატანილი თამბაქოს რაოდენობა ნახევარი მილიონი ფუთი—მთელი გატანილი თამბაქო ეღირება 7 ნახ. მილიონი მანეთი, რაიცა დღევანდელის კურსით სულ ცოტა ორ მილიარდ მანეთს უდრის, დღეს გირვანქა სტერლინგი ღირს 3 ათასი მანეთი. ასე რომ, მთავრობას, რომ სათანადო ანგარიში გაეწია და მეტი სიფხიზლე გამოეჩინა ამ თამბაქოს საქმეში დღეს საქართველოს ხაზინა დიდი თანხის პატრონი იქნებოდა და მომავალისთვისაც ეს მილიარდები უზრუნველყოფილი იქნებოდა; მაგრამ როგორც გითხარით, ეს ასე არ მოხდა და თამბაქოს წარმოება დაეცა.

მცოდნე პირთა გამოკვლევით ერთი დესეტინა თამბაქოს მოწევა მიმდინარე 1920 წელს საშუალოდ 96000 მანეთი ჯდება, დესეტინაზე მოდის საშუალოთ 50 ფუთი, ფუთი საშუალოდ დაჯდება 1920 მანეთი. მთავრობა კი შარშანდელი მოსავლის ერთ ფუთ თამბაქოში, რომელიც იძულებით მიაქვს, აძლევს—550—650 მანეთს, თითქმის ოთხჯერ ნაკლებს. ასე რომ თამბაქოს მწარმოებელი ვერას გზით ვერ შესძლებს გასული წლის მოსავლის-კაპიტალით წელს იმის მეოთხედიც დაამუშავოს, რაც შარშან დაუმუშავებია. ვინ იცის რამდენი წელიწადი იქნება საჭირო, რომ საქართველოს თამბაქომ ძველი პატივი და დიდება დაიბრუნოს! ნუ თუ ამის შემდეგ ცხადი არ არის, რომ თამბაქოს საქმე მთავრობამ თავისი საკუთარი ძალით გაანადგურა, რომ მან გააჩანაგა და მოსპო, ,,სოციალისტური'' მეთოდით და პოლიტიკით, სოფლის მეთამბაქოვე, სოფლის წარმოება და რომ მან სამშობლოს ხაზინას ათასი მილიონები დაუკარგა, დღევანდელის ღირებულებით რომ ვიანგარიშოთ. ნუ თუ პასუხისმგებლობის და დანაშაულობას ვერ გრძნობს მთავრობა და ის ფრაქციები, რომელნიც მას შველოდენ ჩვენი ქვეყნის ამ ერთი უდიდესი დარგის დამხობაში?! ნუ თუ ასეთი მწარე ნაყოფის შემდეგაც მთავრობა და მისი ფრაქცია არ შეაყენებს თვის გამანადგურებელ გულისთქმას. ნუ თუ დანაშაული არ არის, სხვისი მოწეული და წელთა განმავლობაში დაგროვილი თამბაქოს ერთბაშათ ხელში ჩაგდება, ფულის ერთბაშად შოვნის მიზნით—ერთიანად გაანადგურა საშვილიშვილო საქმე დიდის გარჯით და ცოდნით შექმნილი?!

მაშ დავიხსომოთ, რომ მთავრობისა და უმრავლესობის ფრაქციის პოლიტიკამ ჩვენ ქვეყანას მოაკლო დიდი შემოსავლის წყარო და უხვი სავალიუტო საქონელი, რომ მან მოჰკლა დიდი სიცოცხლის პატრონი სამეურნეო დარგი.

ახლა ამ თამბაქოს გადამუშავებაზე ვილაპარაკებ და იმ პოლიტიკაზე, რომელსაც ჩვენი მთავრობა მისდევდა. საქართველოში რამოდენიმე კარგად მოწყობილი ქარხანა მუშაობდა. საქართველოს თამბაქოს ქარხნების ნაწარმოების ბაზარი იყო რუსეთი, ჩრდილო კავკასია და ადერბეიჯანი. თამბაქოს მრეწველებს შესწავლილი ჰქონდათ თავისი ბაზარი და ყოველ ქვეყანას მის გემოსთან შეფარდებულ თამბაქოს აწვდიდენ. ამ საქარხნო წარმოებას ჩვენში ჰქონდა თვისი ტრადიციები და კულტურა და მრეწველებს ახასიათებდა საქმის ცოდნა.

ვინაიდან სახელმწიფოს ბალანსის საკარგე ექსპორტზეა დამოკიდებული, ჩვენი მთავრობა უნდა ცდილიყო გაემაგრებია არსებული წარმოება მაინც. მთავრობა სულ უკუღმა მოიქცა.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ იმ მასალებს, რომელიც დაგროვილია ამ საკითხის შესახებ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის ხელმძღვანელობით და დავალებით ჩვენ დავრწმუნდებით, რომ პასუხის-მგებელ წრეებს: ვაჭრობის სამინისტროს, მთავრობას და მმართველ ფრაქციას ყოველი ზომა მიუღიათ ამ საქარხნო წარმოების გასაჩანაგებლად, ამ მრეწველობის დასაცემად.

(ღლონტი: თქვენი ამხანაგი?)

როგორც ყოველი წარმოება, თამბაქოს წარმოებაც მოითხოვს ერთი მხრივ მუშა ხელსს მეორე მხრივ საწარმოვო მასალას. ერთი ნაწილი თამბაქოს წარმოებისათვის საჭირო მასალა ჩვენ ქვეყანაში იშოვება, ხოლო მეორე—ქაღალდი—განსაკუთრებით უცხოეთიდან მოდის. საჭირო იყო რომ ჩვენ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ამისათვის ყურადღება მიექცა და ჩვენი ქარხნები უზრუნველეყო ამ მასალებით. მაგრამ ამისთვის მას თითი არ გაუნძრევია. დღეს კი, როგორც ირკვევა, ეს ქაღალდი ილევა; ტრანსპორტის მოუწყობლობის გამო ამ მასალის შემოზიდვა კერძო პირების მიერ მეტად გაძნელებულია და ახლო მომავალში ამ ქარხნებში შეიძლება წარმოება სრულიადაც შესწყვიტონ.

რაიცა შეეხება მუშა ხელის მდგომარეობის ამ ქარხნებში, ესეც უნდა გავხადო თქვენი ყურადღების უფრო ხანგრძლივ საგნად. ბ-ნი ღლონტი ბრძანებს, რომ არავინ ზრუნავს მუშების შესახებ, რომ ისინი დაჩაგრული არიან და რომ უმრავლესობის ფრაქცია ორგულობას იჩენს მუშების მიმართ, რომ ასე არ არის, ამას შემდეგიდან დავინახავთ, კიდევ მეტი, დავინახავთ რომ მმართველი პარტია მარტო მუშებისათვის ზრუნავს და ცალმხრივი ზრუნვა ჰკლავს წ მებს და უკან ჰხევს ცხოვრებას. ხ თუ ჩვენი მიზანია ეროვნული მეურნ ბის დაწინაურება და სახელმწიფოს ნომიის გაძლიერება, ჩვენ ვალდებ ვიქნებით ყოველნაირად დავიცვათ, რო მუშათა, ისე მრეწველთა ინტერე და შევეკრძალოთ, თუ რომელიმე განის მიდა და შემოქმედება ჩვენი უნის საზიანოდ იქნება ამოძრავებუ

მე მგონია, რომ უმრავლესობის ქციას, რომელსაც ხელთ უპყრია სა მწიფოს საჭე და რომელმაც სა ანგარიშში მხოლოდ ერის ინტერეს და დაიცვას, შეუძლებელია ჰქონდეს ნაირი საზომი გარდა სახელმწიფო ვი საზომისა; თუ იგი ამ პოზიციი იდგება, ცუდ სამსახურს გაუწევს ხალხო მეურნეობას.

ბ-ნო, რევოლიუციურმა არევ-დარ ბაზრის სივიწროვემ, აუცილებელი და. ამას უნდა მოჰყოლოდა მ რიცხვის შემოკლებაც; მუშათა ლი ციის საკითხი მორიგ დღიურ საკ გადაიქცა. ამის მოგვარება მინდ განგებით კომისიას, რომელიც ქ გამგეობასთან არსებობს და რო ქარხანაში მუშაობის შემკვირების მრეწველი იძულებული ხდებოდა ტი მუშა-ხელი დაეთხოვა, იგი ა სის დაბრკოლებას წააწყდებოდა წეველის ყოველ ნაბიჯს, რომელი მოების რაციონალურ მოთხოვნი დასაკმაყოფილებლად იყო გადად დაუძლეველი წინააღმდეგობა და და. სულ აღმოჩნდა იყო 54 შ ლობა, აქედან სალიკვიდაციო ქ ში თუ ყოფილა მხოლოდ სამი, მხ 3 პროც.!!